# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge







იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცბიერებით და ქლესობით ბურთის გატანა ყოვლად უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.


შაბათი, 28 ოქტომბერი. 2017 წ. №222 (8359), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


## საქართველოს მთავრობა აფხაზური ენის დაცვისა და განვითარების სახელმწიფო პროგრამას ქმნის... ②

## კითხული კაცის აზრი ბათუმიდან



**რამაზ სურმანიძე:**

## დაგვიანებული მადლობა კახი კალაძეს და რჩევა ზაალ უდუმაშვილს ③

## ჩავლილი მატარებელი ⑤

ოჰ, ეს შესანიშნავი სიბრძნე – მოყვარეს პირში უძრახე!..

## დიდი ტერორის „ჭანჭიკები“ ⑧

რეპრესიების მოწმე რელიკვიები...

## კვირის საკითხავი

⑦ **დილარ ივარდავა**



## ო, ოდაბადევ, ძვირფასო დედავ!



**შოთა ზოიძე:**

## რაც მისატევებელი და მიუტევებელია... ⑥



## დეპუტატი დავით ჭიჭინაძე ეროვნული ბანკისგან განმარტებებს ითხოვს!

ეროვნული ვალუტის რეკორდულ გაუფასურებას საპარლამენტო უმრავლესობის წევრები ეხმაურებიან. მმართველი გუნდი განმარტებებს ეროვნული ბანკისგან ითხოვს, პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი დავით ჭიჭინაძე ეროვნულ ბანკს აკრიტიკებს. ჭიჭინაძე მიიჩნევს, რომ ხელისუფლების ეკონომიკური გეგმა სწორია და ეროვნული ვალუტის გაუფასურება არასწორ მუშაობას არ უკავშირდება.

**„როდესაც სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები დებენ სხვადასხვა დასკვნებს, სადაც არ არის აღწერილი, რომ ვთქვათ ჩვენი მთავრობა აკეთებს რაიმე არასწორ ნაბიჯებს, იზრდება ქვეყნის საკრედიტო რეიტინგი, შესაბამისად მოდის კრედიტები. თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ, მთავრობა თუ რამეს არასწორად აკეთებს, მაშინ კრედიტებიც არ მოვა, მაგრამ რადგან მოდის კრედიტები, ე.ი. მთავრობა მუშაობს სწორად. აბა როგორ შეიძლება ეროვნული ბანკის, ქვეყნის პირველი ბანკირი იძახდეს, რომ მე კომენტარს არ გავაკეთებ. ეს უკვე ისეთი კომენტარია, რომელიც მოსახლეობაში პანიკას იწვევს“,** — განაცხადა დავით ჭიჭინაძემ.

**რედაქციისაგან:**

ეს ის შემთხვევაა, როცა დეპუტატი სრულ სიმართლეს ამბობს და ეროვნული ბანკის ნაადრევად გაქსუებულ, უპასუხისმგებლო პრეზიდენტს პანიკის შექმნაში ადანაშაულებს.

მართლაცდა, რას ჰგავს ეს, ამხანაგო გვენეტაძევ!

## ივანიშვილის ქონება ბოლო 1 წელიწადში 275 მილიონი დოლარით გაიზარდა

Bloomberg Billionaires Index-ის მონაცემების თანახმად, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის კაპიტალი ბოლო 1 წელში 275 მილიონი დოლარით გაიზარდა და ახლა ის 5,72 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს.

**ინფორმაცია „ბლუმბერგის“ სტატისტიკაშია მოყვანილი, სადაც პლანეტის 500 ყველაზე მდიდარი ადამიანის სიაა გამოქვეყნებული. სიაში პირველ ადგილს ბილ გეითსი 488.0 მილიარდი აშშ დოლარით იკავებს, რომელსაც ჯეფ ბეზოსი (83.5 მლრდ), ვოარენ ბუფეტი (81.2 მლრდ), ამანსიო ორტეგა (77.3 მლრდ) და მარკ ცუკერბერგი (72.4 მლრდ) მოჰყვებიან.**



# „ქართული პოეზიის საღამო“ სეულში

**კორეის რესპუბლიკაში, ქ. სეულში შოთა რუსთაველის 850 წლისთავისა და „ვეფხისტყაოსნის“ კორეულ ენაზე შესრულებული ორი თარგმანისადმი მიძღვნილი ღონისძიება „ქართული პოეზიის საღამო“ გაიმართა.**

პოეზიის საღამოზე დამსწრე სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა კორეის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ოთარ ბერძენიშვილმა, რომელმაც ხაზი გაუსვა ორ ქვეყანას შორის კულტურის სფეროში თანამშრომლობის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ორი თარგმანი კორეულ ენაზე დიდი შენაძენია როგორც ქართველებისათვის, ისე კორეელი მკითხველისათვის.

საელჩოს მხარდაჭერით, სპეციალურად ქართული პოეზიის საღამოსათვის კორეელმა ვიოლინისტმა, ბუსანის სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის პროფესორმა ბეკ ჰიუნ-კიუნგმა და გვანჯუს უნივერსიტეტის სტუდენტთა ვოკალურმა ჯგუფმა პროფ. ლიმ ჯე-ჩოლის ხელძღვანელობით შეასრულეს ქართული სიმღერები და კომპოზიციები. ღონისძიების ფარგლებში ნაჩვენები იქნა პროფ. ჩო ჯუ-კვანის მიერ მომზადებული ვიდეორგოლი „ვეფხისტყაოსნისა“ და საქართველოს შესახებ. აღსანიშნავია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ კორეულ ენაზე თარგმნების ავტორები არიან პროფესორები ჩო ჯუ-კვანი და ჰო სინგ-ჩოლი.



საღამოზე მოწვეული იყვნენ კორეის პარლამენტისა და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები, ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები, კორეის რესპუბლიკაში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების მეთაურები და სეულში მცხოვრები ქართველები. სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ დაეგემოვნებინათ ქართული ღვინო.

ღონისძიება კორეის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოსა და კორეის წამყვანი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების **ASAN Institute**-ის ორგანიზებით მოეწყო. 24 ოქტომბერს ელჩმა ოთარ ბერძენიშვილმა სეულში მდებარე ჰანკუკის უცხოურ ენათა უნივერსიტეტში გამართა საჯარო ლექცია თემაზე „საქართველო: უძველესი ერი და თანამედროვე სახელმწიფო“.



# აფხაზური ენის დაცვისა და განვითარების სახელმწიფო პროგრამა

**საქართველოს მთავრობა აფხაზური ენის დაცვისა და განვითარების სახელმწიფო პროგრამას ქმნის,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა. პრემიერმა ყველას, განსაკუთრებით კი აფხაზ ძმებს და დებს მიულოცა აფხაზური ენის დღე.

პრემიერი მიიჩნევს, რომ აფხაზური ენის დაცვისა და განვითარების სახელმწიფო პროგრამა ნდობის აღდგენის პროცესში ძალიან მნიშვნელოვანი საფუძველი იქნება.

**„ეს პროგრამა ითვალისწინებს მრავალმხრივ ღონისძიებებს. რა თქმა უნდა, გამოყოფილი იქნება შესაბამისი ბიუჯეტი და დარწმუნებული ვარ, საზოგადოება აქტიურად ჩაერთვება ამ პროგრამის განხორციელებაში. მჯერა, რომ აფხაზური ენისა და კულტურის მიმართ ჩვენი გულწრფელი და სიღრმისეული დამოკიდებულება ძალიან მნიშვნელოვანი იქნება იმ დამწვარი ხიდების აღდგენის პროცესში, რომელიც აუცილებელია ჩვენი ერთიანობისთვის",** — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

# დღის წესრიგშია შიდა გზების რეაბილიტაცია

**მთავრობის ოთხპუნქტიანი გეგმის სივრცითი განვითარების უმნიშვნელოვანესი კომპონენტის ფარგლებში შიდა გზების რეაბილიტაციის მსხვილი პროექტი იწყება,** — საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების შესახებ პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე ისაუბრა.

ტენდერში გამარჯვებულია კორეული კომპანია, რომელიც 6 თვეში მოამზადებს დეტალურ პროექტებს ისეთი მნიშვნელოვანი გზების განვითარებისთვის, როგორებიცაა:

- აჩხოტი-სნო-ახალციხე-ჯუთა;
- წიწამური-საგურამო-ცხვარიჭამია;
- სადახლო-ახკერპი - საქართველო-სომხეთის საზღვართან;
- ასევე, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან არხილოსკალო-სამთაწყარო,
- წალენჯიხა-ჯვარი-ჯიხაშკარი;
- გუფთა-ონი;
- თბილისი (პანტიანი)-მანგლისი.

გარდა ამისა, განხორციელდება სხვა მცირე საგზაო მონაკვეთების რეაბილიტაცია.

**„ვფიქრობთ, ძალიან მნიშვნელოვანია ამდენი შიდა გზის რეაბილიტაციის პროექტი, რაც, უპირველეს ყოვლისა, გზებს მოაწესრიგებს და გააჩენს ბევრ სამუშაო ადგილს ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის",** — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

# კიდევ 240 დევნილ ოჯახს ბინები გადაეცემა

როგორც პრემიერმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე აღნიშნა, დევნილები ბინებს თბილისში, გორში, რუსთავსა და ბათუმში მიიღებენ.

**„ჩვენ ვაგრძელებთ დევნილებისთვის საკუთრებაში საცხოვრებლის გადაცემას. 240 დევნილი ოჯახი მთავრობის სხდომის გადაწყვეტილებით თბილისში, გორში, რუსთავსა და ბათუმში მიიღებს ფართებს საკუთრებაში",** — განაცხადა პრემიერმა და დასძინა, რომ 2012 წლიდან დღემდე საცხოვრებელი ფართით 15 800 დევნილი ოჯახი დაკმაყოფილდა.

# საქართველოს დაცული ტერიტორიები ვიზიტორებმა „დალაშქრეს"...

**საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რეკორდული ზრდა აღირიცხა — ვიზიტორთა რიცხვი, წინა წელთან შედარებით, 33%-ით გაიზარდა და 860 ათასს მიაღწია,** — პოზიტიურ ტენდენციას პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი მთავრობის სხდომაზე გამოეხმაურა.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, ძალიან სასიხარულოა, რომ მათი ნახევარი საქართველოს მოქალაქეა, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ასეთ ადგილებში დიდი ენთუზიაზმით მოგზაურობენ.

**— ჩვენთვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ ნახევარი უცხოელი ვიზიტორია, მსოფლიოს 97ქვეყნიდან. ძალიან კარგია, რომ ასეთი სპექტრი გვაქვს. ეს არის ნამდვილად ნათელი მაგალითი, თუ როგორ შეიძლება სწორი სახელმწიფო მექანიზმების გამოყენებით როგორც შიდა, ასევე გარე ტურიზმის წახალისება. ეს, პირველ რიგში, ნიშნავს გაზრდილ შემოსავლებს ჩვენი ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის; ტურისტული ინფრასტრუქტურისთვის, საოჯახო სასტუმროებისთვის, კვების ობიექტებისთვის, სატრანსპორტო საშუალებებისთვის და სავაჭრო ობიექტებისთვის. რა თქმა უნდა, ადგილობრივ მოსახლეობას, ისეთი პროგრამების მეშვეობით, როგორიცაა მიკროგრანტების პროგრამა ან „უმასპინძლე საქართველოში", აქვს შესაძლებლობა, წამოიწყოს მცირე ბიზნესი და არჩინოს საკუთარი ოჯახი. მაგალითისთვის შემიძლია გითხრათ, რომ მარტო მარტვილის კანიონისა და მისი შემოგარენის მოსახლეობისთვის შემოსავლებმა 3 მილიონ 500 ათასი ლარი შეადგინა. ეს სწორედ იმით არის განპირობებული, რომ იქ აშენდა ვიზიტორთა ცენტრი და მოეწყო ინფრასტრუქტურა,** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

# საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ გიორგი შარვაშიძე დაინიშნა



**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ხელი მოაწერა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე გიორგი შარვაშიძის დანიშვნას, რომელიც სამინისტროში ეკონომიკური დიპლომატიის მიმართულებას წარუძღვება.**

გიორგი შარვაშიძეს აქვს წამყვან საერთაშორისო კომპანიებთან, მათ შორის აზიის რეგიონში საქმიანობის დიდი გამოცდილება. 2006 წლიდან დღემდე მუშაობს კერძო კომპანიებში, ასევე გააჩნია სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებსა თუ არასამთავრობო ორგანიზაციებში საქმიანობის გამოცდილება.

გიორგი შარვაშიძეს დამთავრებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი. მიღებული აქვს ICN ბიზნეს სკოლის (საფრანგეთი, ქ.ნანსი) და UNICATT-ის (იტალია, ქ.მილანი) საერთაშორისო მენეჯმენტის მაგისტრის, ასევე აღმოსავლეთ ჩინეთის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტის (ჩინეთი, ქ.შანხაი) ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი.

გიორგი შარვაშიძე უფლებამოსილების შესრულებას 2017 წლის 1 დეკემბრიდან შეუდგება.

შეგახსენებთ, რომ მინისტრის მოადგილის თანამდებობა მას შემდეგ გახდა ვაკანტური, რაც ერთ-ერთი მოადგილე დავით ჯალაღანია შვეიცარიის კონფედერაციაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დაინიშნა.

# ესპანეთი ოკუპირებული ცხინვალის რეგიონს საქართველოს განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს

ესპანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ კომენტარი გააკეთა ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის ე.წ. წარმომადგენლობის ბარსელონაში გახსნის თაობაზე მედიაში გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ცხინვალის რეგიონი არის საქართველოს განუყოფელი ნაწილი, რომელსაც საერთაშორისო თანამეგობრობა არ აღიარებს და, შესაბამისად, მას ვერ ექნება რომელიმე სახელმწიფოში წარმომადგენლობის ქონის უფლება.

**„ესპანეთი ისევე, როგორც ევროკავშირის დანარჩენი წევრი ქვეყნები, „სამხრეთ ოსეთს" მიიჩნევს საქართველოს განუყოფელ ნაწილად. „სამხრეთ ოსეთი" არ არის აღიარებული გაეროს წევრი თითქმის არცერთი ქვეყნის მიერ. საქმე ეხება დე ფაქტო ერთეულს, რომელსაც საერთაშორისო სამართლის თანახმად, არ გააჩნია ე.წ. წარმომადგენლობის ქონის უფლება ევროკავშირის არცერთ ქვეყანაში და საერთაშორისო თანამეგობრობის წევრ თითქმის არცერთ სახელმწიფოში. ესპანეთი კიდევ ერთხელ ადასტურებს სრულ მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში."**

# ოზურგეთში „ოცნების" კანდიდატს მომხრეები ტოვებენ?

**ოზურგეთის თემის არჩევნებში პირველ ტურში პირველ ადგილზე გასული ბეგლარ სიორიძე და შტაბის წევრებს ურთიერთობა დაეძაბათ.**



სიორიძემ წარუმატებლობა შტაბის წევრებს და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს დააბრალა. ამასთან ვრცელდება ინფორმაცია, რომ სიორიძის რამდენიმე მომხრე ოზურგეთსა და რამდენიმე სოფელში მეორე ტურში მას მხარს აღარ დაუჭერს. **„პირველი რადიოს" ინფორმაციით, სიორიძეს კანდიდატურის მოხსნაც ურჩიეს. სიორიძემ პირველ ტურში 43.92% დააგროვა, რაც 14 801 ხმა არის. სიორიძის კონკურენტი, მეორე ტურში გასული კანდიდატი ოზურგეთის ყოფილი გამგებელი და „ქართული ოცნების" ყოფილი წევრი კონსტანტინე შარაშენიძეა. მან 42,45%,ანუ 14 292 ხმა მიიღო. შარაშენიძე სიორიძესთან მხოლოდ 507 ხმით აგებს. ინფორმაციას, რომ სიორიძის შტაბში დაპირისპირებაა, თავად „ქართული ოცნების" კანდიდატი არ ადასტურებს, ის აცხადებს, რომ მეორე ტურში იბრძოლებს და გაიმარჯვებს კიდეც. „საიდან გაქვთ ეს ინფორმაცია, ვინ გითხრათ? ანუ ვერ მეტყვით სახელსა და გვარს ვინ მოგაწოდათ ეს ინფორმაცია? ამის უფლება გაქვთ? ნუ ნერვიულობთ, მე ვიბრძოლებ მეორე ტურში და გავიმარჯვებ კიდეც. პირველ ტურში გავიმარჯვე. მართალია, ბარიერი ვერ გადავლახე, მაგრამ პირველ ადგილზე ვარ და მეორე ტურს მოვიგებთ აუცილებლად"** — ამბობს სიორიძე.

# გოგა ხაინდრავამ 480000-ლარიანი ახალი ტენდერი მოიგო

**გოგა ხაინდრავას კომპანიამ დეტექტიური ჟანრის სერიალის გადაღებაზე ტენდერი მოიგო. შპს „ლე ხაინდრაო პროდაქშენს" საზოგადოებრივი მაუწყებელი 484 000 ლარს გადაუხდის.** მაუწყებელი ამ თანხას სახელმწიფო ბიუჯეტიდან, 2017-18 წლის სახსრებიდან გადაიხდის. ინფორმაციას ამის შესახებ „ნეტგაზეთი" ავრცელებს.

**„მაუწყებლის მიერ გამოცხადებული ტენდერის სავარაუდო ღირებულება 531 848 ლარი იყო. ხაინდრავას კომპანიამ 484 000 ლარი დააფიქსირა და მოიგო. ტენდერში მონაწილე მეორე კომპანიის"კავკასიის კინო სერვისის" შეთავაზება 531,848 ლარი იყო.**

**სატენდერო პირობების მიხედვით გამარჯვებულმა კომპანიამ თორმეტი სერიის სცენარის მიხედვით „უნდა უზრუნველყოს მხატვრულის სერიალის წარმოება და ტექნიკური უზრუნველყოფა ტექნიკური დავალების გათვალისწინებით".**

**„ვაკანსია მკვლელის თანამდებობაზე" ამ სახელწოდების დეტექტიური სერიალის სცენარი უკვე მზად აქვს საზოგადოებრივ მაუწყებელს. სცენარები თან ერთვის სატენდერო დოკუმენტაციას. სერიალი სულ 12 ეპიზოდისგან შედგება.**

**„საზოგადოებრივი მაუწყებლის" სატენდერო კომისიის აპარატში „ნეტგაზეთს" აგვისტოში უთხრეს, რომ სცენარებზე ტენდერი არ გამოცხადებულა და ის თავად მაუწყებელში მომზადდა. მაშინ სცენარის ხარჯები „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ადმინისტრაციამ არ გაგვიმხილა. გვითხრეს, რომ ეს საჯარო ინფორმაციაა, რომელიც წერილობით უნდა გამოვითხოვოთ.**

**გიორგი ხაინდრავა ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის შვილის ბერა ივანიშვილის იმ კომპანიის დირექტორიცაა, რომელსაც საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელიც საქართველოს ბიუჯეტიდან ფინანსდება, ორი სხვადასხვა ტენდერის გზით 372 011 ლარს უხდის",** — ნათქვამია სააგენტოს ინფორმაციაში.





# დაგვიანებული მადლობა კახი კალაძეს და რჩევა ზაალ უდუმაშვილს

**კარგად მოგეხსენებათ, თბილისის მერის თანამდებობა ერთია, მისი დაკავების მსურველი კი ათჯერ მეტი, ვიდრე არჩევნებში მონაწილე კონკურენტები იყვნენ.**

თავიდანვე ყველას, მოკეთეს და მოწინააღმდეგესაც კი სჯეროდა, რომ ამ ბატალიებში კახი კალაძეს ბადალი არ ჰყავდა და აი რატომ. მას იცნობს მთელი საქართველო (და არა მარტო ჩვენი ქვეყანა), როგორც სახელოვან სპორტსმენს, ერთადერთ პირველთაგანს, ვინც უცხო ქვეყნის განთქმულ გუნდს და ჩვენს ნაკრებს კაპიტნობდა. როგორც ჩანს, კარგ სპორტსმენს მარტო ფიზიკური მომზადება არ ჰყოფნის, იგი ამავე დროს უნდა იყოს ბრძენი და გონიერი.

კახი თავისი ადამიანური თვისებებითაც გამოირჩევა: თავმდაბალი, თვინიერი, შესანიშნავი მოსაუბრე, ზრდილი, ჩვენი ახალგაზრდობისთვის სამაგალითო. მაგრამ ეს არაა მთავარი. ახალგაზრდა მინისტრს, რომელიც თანამდებობამ პოლიტიკასაც აზიარა, აღმოაჩნდა დიდი ორგანიზატორული ნიჭი, ალღო, ინტერესი და, რაც მთავარია, მამულიშვილობა. მან გაამართლა მინდობილი, საკმაოდ დიდი და რთული საქმე, ამაში მოქიშპეებიც დაარწმუნა და ბევრ მათგანს ხმალი ქარქაშში ჩააგებინა. სრულიად მოკლე დროში მან მრავალი ჰიდროელექტროსადგური აგვიშენა და სიბნელეს და „დვიჟოკებს“ მიჩვეულებს ახლა მუდმივი შუქით გვანებივრებს. მოგეხსენებათ, ყველა ჰესი საუკუნის მშენებლობად ითვლება და მათი მშენებლობა მრავალ წინააღმდეგობას აწყდება, პირველ რიგში მოსახლეობისას; ამ რთულ ამოცანას კახიმ თავი მოსახლეობასთან პირდაპირი ურთიერთობით, მოზომილი საუბრებით, ნდობის მოპოვებით, პირობისა და სიტყვის კაცური შესრულებით გაართვა. ეს ვერ შეძლო ბევრმა მისმა „გამოცდილმა“ წინამორბედმა, რადგანაც მათ, კარგ ცხოვრებას ზიარებულთ, გულთან არ მიჰქონდათ თანამოძმის აუტანელი ცხოვრების სიმძიმე.

ერთი მაგალითიც მინდა მოვიყვანო. 2013 წელს მწერალთა ეროვნული კავშირის აჭარის ორგანიზაციის რამდენიმე წევრი სვანეთში ვმოგზაურობდით. გზად წალენჯიხის რაიონის სოფელ ხოკოში ჭანტურიების სასაუზმეში შესვენების დროს გაირკვა, რომ ამ პატარა, 15-კომლიან დასახლებას 20 წელია არა აქვს შუქი. ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი ვითარება მისწვდა ამ სოფელსაც; ელექტროანძები და მავთულები ავაზაკებმა ბარბაროსულად მოშალეს და ჯართად გაყიდეს.

ენგურჰესიდან სულ რაღაც 40 კმ-ით დაშორებული სოფლისთვის ეს დიდ შეუსაბამობად მივიჩნიეთ და ბატონ კახის მწერალთა სახელით წერილი გავუგზავნე, რათა სოფელი ეხსნა ამ საშინელი სიბნელისგან.

არ გასულა სამი კვირა და ტელეფონით გახარებული მესაუბრება სასაუზმე „ხოკოს“ მეპატრონის გურამ ჭანტურიას დედა თინა: თქვენი წასვლიდან ათი დღის შემდეგ ენერგეტიკის მინისტრის დავალებით მოვიდნენ, ყველაფერი აღადგინეს და დღეს სოფლის ყველა სახლი განათებულიაო.

ვინც მეტყვის, მინისტრს ეს ისედაც ევალებოდაო, ცდება. იმ დროს საქართველოში 50 უშუქო სოფელი გვქონდა, მათი ელექტროენერგიით უზრუნველყოფას 9 მილიონი ლარი სჭირდებოდა, ხოლო სამუშაოების დასრულებას 18 თვეში ვარაუდობდნენ. შედგენილი იყო გრაფიკი, მაგრამ ხოკი ამაში არ შედიოდა.

კახიმ ანგარიში გაუწია მწერლებს, რომლებიც მოსახლეობას პირადად და საკუთარი წიგნებით ელაპარაკებიან. ეს კი დიდი და საიმედო მხარდამჭერი ძალაა.

წარმოვიდგინოთ ოთხი წლის მანძილზე მინისტრმა თავისი გულისყურით და სასიკეთო საქმეებით რამდენი ადამიანის გული მოიგო, მათი ჭირ-ვარამი გაიზიარა... საყოველთაო სიყვარულისა და მხარდაჭერისთვის მეტი არაფერია საჭირო.

ბატონო ზაალ!

საქართველოში არანაკლებ პოპულარული ხართ თქვენ, როგორც ტელეწამყვანი და ჟურნალისტი. იმის მიუხედავად, რომ ზოგჯერ თქვენი ნება-სურვილის გარეშე გიხდებოდათ სხვისი, არცთუ კაცური ნააზრევის და დაწერილის გახმოვანება, საზოგადოებამ იცოდა, რომ ავტორი თქვენ არ იყავით და მაინც პატივს გცემდათ. მიაჩნდით, როგორც ერთი ნიჭიერი ტელეწამყვანი. ამის შემდეგ თქვენ არ გაგივლიათ ის გზა, რომელიც აუცილებელია ქალაქის მოურავისთვის: ხალხთან პირადი ურთიერთობა, მათი გასაჭირის გათავისება და გამოსწორებისთვის ზრუნვა, რაც მთავარია, საქალაქო მეურნეობის ურთულესი მექანიზმის ცოდნა.



კახის შემდეგ სიმპათია ყველაზე მეტად თქვენკენ იხრებოდა, მაგრამ საარჩევნო კამპანიის დროს, განსაკუთრებით მისი დასრულების შემდეგ, თქვენი გამოსვლები იმდენად ტლანქი და მოუზომავი იყო, რომ მე (თუმცა შესაძლოა, ეს ბევრს არ ნიშნავდეს) და სხვებიც, როგორც იტყვიან, ველარ გცნობთ, ყველას შეეცვალა აზრი და დარწმუნდა, რომ ტელესტუდიის სკამიდან მერის სავარძელში თქვენი გადმოყვანა ძალიან ნაადრევი და გაუმართლებელია. ალბათ, ასე ფიქრობდნენ ისინი, ვინც თქვენ ხმა არ მოგცათ და ამის შედეგია ისიც, რომ ყოველმა მეორე თბილისელმა კახი კალაძეზე შეაჩერა არჩევანი.

თქვენ კიდევ უფრო ართულებთ თქვენს მომავალს. ვინ ვინ და ყველაზე კარგად მოგეხსენებთ, რომ ერთ ადგილზე მოხვედრილ ხალხის რჩეულს, თუ თავისი ქალაქისთვის სიკეთე სურს, ყველამ უნდა გაუწოდოს ხელი, მიულოცოს გამარჯვება და შეჰპირდეს თანადგომა. თქვენ საპირისპიროდ იქცევით.

შეგნებული ცხოვრების ნახევარი საუკუნე დეპუტატობაში გავატარე. ამ გრძელ გზაზე მქონდა წარმატებები და ბევრჯერ ხელიც მომეცარა, მაგრამ ცუდი სიტყვა არავისთვის მიკადრებია. ჩემი რჩევა შვილებისა და შვილიშვილების თანატოლებს გამოგადგებათ. მართლია, ჩვენს დროში უფროს-უმცროსობა დიდ პატივში აღარაა, მაგრამ მაინც გირჩევთ, ჯერ არაა გვიან, უნდა შეეგუოთ ამ წარუმატებლობას, ცხოვრება წინაა და თქვენს ქცევებსა და ნათქვამზე იქნება დამოკიდებული, ხალხი რას გაიმეტებს თქვენთვის და რომელ კვარცხლბეკზე აგიყვანთ.

**რამაზ სურმანიძე,**
**მწერალი.**
**23 ოქტომბერი, 2017 წ.**

# ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ადეიშვილის განაჩენი ძალაში დარჩა

**ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ადეიშვილის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა,** — ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს მთავარი პროკურატურა ავრცელებს.

**„თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის სააპელაციო საჩივარი და უცვლელად ძალაში დატოვა 2017 წლის 03 მაისის „აკურას“ ღვინის ქარხნის უკანონოდ ჩამორთმევის ფაქტზე ივანე მერაბიშვილისა და ზურაბ ადეიშვილის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი.**



**სასამართლოს მიერ დადასტურებულია, რომ ივანე მერაბიშვილისა და ზურაბ ადეიშვილის ორგანიზებით, მოქალაქეებს თეიმურაზ მეგრელიშვილსა და ნოდარ მოდებაძეს იძულებით დაათმობინეს თელავში მდებარე „აკურას“ ღვინის ქარხანა...**

**რამდენადაც საზოგადოებისთვის ცნობილია, მთავარი პროკურატურის ახალი დეპარტამენტის მიერ გახსნილი ამ დანაშაულებრივი ფაქტის შედეგად, აღდგენილი იქნა დაზარალებულთა დარღვეული უფლებები. პროკურატურის და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ერთობლივი მოქმედების შედეგად, დაზარალებულ მოქალაქეებს თეიმურაზ მეგრელიშვილსა და ნოდარ მოდებაძეს დაუბრუნდათ რამდენიმე მილიონი ლარის ღირებულების უკანონოდ ჩამორთმეული თელავში მდებარე „აკურას“ ღვინის ქარხანა“,** — ნათქვამია განცხადებაში.

# თენგიზ გოგოტიშვილი უკრაინაში არ შეუშვეს

**ჟურნალისტი თენგიზ გოგოტიშვილი, „რუსთავი-2“-ის კორესპონდენტი უკრაინელმა მესაზღვრეებმა ქვეყანაში არ შეუშვეს.**

გოგოტიშვილი ბორისპოლის საერთაშორისო აეროპორტში თითქმის 4 საათზე მეტხანს გაჩერებული ჰყავდათ. როგორც გოგოტიშვილი აცხადებს, მისთვის არავის განუმარტავს, რა გახდა ქვეყანაში მისი არშეშვების მიზეზი.

# მეჭიაურის მერობა სააპელაციომ დაადასტურა

**თიანეთის მერის არჩევნებთან დაკავშირებით მცხეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა.**

თიანეთის მერის არჩევნებში თამაზ მეჭიაურის გამარჯვებულად გამოცხადების გადაწყვეტილება, რომელიც 4-მა სუბიექტმა სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, მოსამართლეთა კოლეგიამ არ დააკმაყოფილა.

# ცესკოს პასუხი ნაციონალურ მოძრაობას

**ცენტრალური საარჩევნო კომისია „ნაციონალური მოძრაობის“ იმ მოთხოვნას ეხმაურება, რომელიც ამომრჩეველთა სამაგიდო სიების გაცემას ეხება.**

ცესკო „ენმ“-ს მოთხოვნას კანონთან შეუსაბამოს უწოდებს. უწყებაში განმარტავენ, რომ სიებში ამომრჩეველთა რეგისტრაციის და იდენტიფიკაციის პროცესი ხელმისაწვდომია არჩევნების დღეს დაკვირვების უფლების მქონე პირებისთვის.

უწყების განცხადებაში ნათქვამია, რომ დღეის მდგომარეობით სამაგიდო სიები დალუქულია და მასში არსებული ინფორმაციის დამუშავება და გაცემა წარმოადგენს კომისიისთვის განსაზღვრულ უფლებას. ცესკოში ამბობენ, რომ „ენმ“-ს მოთხოვნა აცდენილია კანონის მოთხოვნას და ემსახურება პარტიის პოლიტიკურ დღის წესრიგს. რაც შეეხება ცაგერი 21-ე საარჩევნო უბანთან დაკავშირებით „ენმ“-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომ ხმა მისცეს იმ ადამიანებმა, რომლებიც საერთოდ არ ყოფილან არჩევნებზე, ცესკოში აცხადებენ, რომ აღნიშნული სიმართლეს არ შეესაბამება და კომისიის 13 წევრიდან არც ერთს არ დაუწერია საჩივარი. ცესკოში მიიჩნევენ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის მოხდენას ცდილობს.

# ნაცები მოსამართლემ დარბაზიდან გააძევა

**საკრებულოსთან დაკავებული „ნაციონალური მოძრაობის“ სამი წევრი მოსამართლემ დარბაზიდან გააძევა. საქმის განხილვა კი საქალაქო სასამართლოში დასრულებულია და გადაწყვეტილება მომდევნო პროცესზე, 9 ნოემბერს გამოცხადდება.**

გუშინ ბრალდების მხარემ ის მტკიცებულებები წარადგინა, სადაც სამართალდამცველების შეფასებით, აქციის მონაწილეების მხრიდან ხულიგნობა და პოლიციისათვის დაუმორჩილებლობა იკვეთება. ბრალდებულები კი თვლიან, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებები ვერ ამტკიცებს მათ ბრალეულობას.



**„ძალიან კარგად ილებდა სუს-ი საკრებულოს ფანჯრებიდან, იმ კადრებში ჩანს ყველაფერი და ვთხოვე, რომ წარმოადგინონ მათი ჩანაწერები, რაზეც გვითხრეს, რომ ხელი არ მიუწვდებათ მსგავსი ჩანაწერების მიმართ. იცით რატომ არ წარმოადგენენ მსგავს ჩანაწერებს? იმიტომ, რომ ყველა მსგავს ჩანაწერში ძალიან კარგად ჩანს, თუ თვითონ სამართალდამცველები როგორ არღვევენ კანონს. ჩვენ კანონს არსად ვარღვევთ,“** — განაცხადა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ბესიკ გაზდელიანმა.

# დედაქალაქს ეკოლოგიურად სუფთა ერთი უბანი მაინც უნდა ჰქონდეს!



## ჰაერის დაბინძურებაზე ვლაპარაკობთ და გვავიწყდება ნიადაგის დაბინძურება, სადაც ბავშვები თამაშობენ...

**მტვრის ნაწილაკებისა და აზოტის დიოქსიდის კონცენტრაციის ყველაზე მაღალი ოდენობა ტრადიციულად მელიქიშვილის ქუჩაზე შეინიშნება, სადაც ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელი 111 მკგ/მ³-ია. შემდეგ მოდის ავლაბრის მოედანი. ასევე, დაბინძურების მაღალი მაჩვენებელია პირველ საშუალო სკოლასთან, ტაშკენტისა და ვაჟა-ფშაველას ქუჩების გადაკვეთაზე. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი კი გლდანის პირველ მიკრორაიონში, მზიურის პარკის ტერიტორიაზე, ბენდელიანისა და ლიბანის ქუჩებზეა.**

გარემოს ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, რომ ინდიკატორული გაზომვების ლოკაციებს მუდმივად ცვლიან და გამორიცხული არ არის, სამომავლოდ დაბინძურების უფრო მაღალი მაჩვენებელიც გამოვლინდეს, რომელიც ჯერ მიკვლეული არ არის.

გარემოს დაცვის სპეციალისტი **კახა ბახტაძე** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ გარემოს ეროვნული სააგენტო შეზღუდულია მონიტორინგის დროს. იგი მხოლოდ რამდენიმე წერტილს არჩევს და იმ წერტილში ახორციელებს დაკვირვებას. 90-იანი წლების შემდეგ ჰაერის მონიტორინგი არც ტარდებოდა ქვეყანაში, საამისოდ არც თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობა არსებობდა და არც სპეციალისტების გადამზადება ხდებოდა. თუმცა ნელ-ნელა კვლევის ეს მეთოდი ინერგება ჩვენს სახელმწიფო უწყებებში და დასკვნებიც უფრო ფართო ხასიათს იძენს.

**„ამჯერად ჰაერის დაბინძურების ხუთი წერტილი გამოვლინდა, თუმცა ეს ხუთი წერტილი ზუსტად იქ გამოვლინდა, სადაც კვლევა ჩატარდა, თორემ თბილისის საკმაოდ დიდი ტერიტორია შეუსწავლელია. შეუსწავლელია გარეუბნებიც. ხშირ შემთხვევაში, სააგენტო ფოკუსირებას უფრო ცენტრალურ უბნებზე აკეთებს. არის ერთი ავტომატური სადგური ვაშლიჯვარში, თუმცა ის ისეთ ადგილზეა განთავსებული, სადაც დაბინძურება ძალიან მაღალი არ იქნება. ამიტომ აუცილებელია მოდელირება. საკვლევი ადგილები წინასწარ უნდა შეირჩეს გზებისა და მანქანების რაოდენობიდან გამომდინარე. საუბარია იმ ტერიტორიებზე, სადაც, წესით, ყველაზე მაღალი უნდა იყოს დაბინძურება. მოსახლეობა თვითონვე გრძნობს, სად არის ასეთი ადგილები, რადგან დაბინძურება დაკავშირებულია ავტოტრანსპორტთან, ანუ იქ, სადაც გვაქვს ტრანსპორტის დიდი მოძრაობა, ე.წ. საცობები. ტრანსპორტის შეფერხების დროს ყველაზე მეტი გამონაბოლქვი წარმოიქმნება. ზუსტად საცობების წერტილები უნდა იყოს ერთ-ერთი ინდიკატორი, რასაც უნდა დაეყრდნოს გარემოს ეროვნული საგენტო. სწორედ იქ უნდა გაზომონ დაბინძურების დონე. თუმცა მანდ მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორიცაა, რომელიც დაკავშირებულია დაბინძურებული ტერიტორიის განიავებასთან. თუ ნიავდება, მაშინ შედარებით ნაკლები დაბინძურება იქნება, რადგან გადის ეს ნაწილაკები. მდინარის ხეობაში ჰაერი უფრო ნიავდება, რადგან ჰაერი მოძრაობს. შესაბამისად, მტკვრისკენ უფრო განიავებული ადგილებია“,** — აცხადებს კახა ბახტაძე.

სპეციალისტი, ასევე, პრობლემურად მიიჩნევს იმ ადგილებს, სადაც მშენებლობები ან დიდი შენობებია. ამ შენობებში ჰაერი ნაკლებად მოძრაობს და ჰაერის დაბინძურება მაღალია. თუმცა დაუშვებელია, აქცენტი გავაკეთოთ მხოლოდ ჰაერის დაბინძურებაზე და თვალი დავხუჭოთ ნიადაგის დაბინძურებაზე, რომელიც ზუსტად იმითაა გამოწვეული, რომ ჰაერი დაბინძურებულია. ეს ყველაფერი ნიადაგში ჩადის, სადაც ბავშვები თამაშობენ და საშიშია პატარებისთვის. ამიტომ ჰაერის კვლევის გარდა, აუცილებელია ნიადაგის კვლევის დაწყება. მით უმეტეს, რომ წინასაარჩევნოდ ბევრს საუბრობენ საბავშვო მოედნების მოწყობაზე.

კახა ბახტაძის თქმით, დაბინძურებული ჰაერი და ნიადაგი გავლენას თითოეული ადამიანის ჯანმრთელობაზე, სასუნთქი გზების სისტემაზე ახდენს. სხვადასხვა ტიპის დაავადების გავრცელება პირდაპირ ამასთანაა დაკავშირებული. უცხოელები და ქართველებიც, რომლებიც გადიან ქვეყნის გარეთ, ბევრად




უკეთ ამჩნევენ ჰაერის დაბინძურების დონეს ჩვენს დედაქალაქში.

არასამთავრობო ორგანიზაცია „კავკასიის ეკოლოგიის“ ხელმძღვანელი **მანანა დევიძე** ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ მელიქიშვილისა და კოსტავას ქუჩებზე ყოველთვის ჰაერის დაბინძურების მაღალი დონე ფიქსირდებოდა. ასევე, დიდი დაბინძურება შეიმჩნეოდა გმირთა მოედანზე.

**„ატმოსფეროს ინდიკატორული გაზომვების ძალზე ცოტა სადგური გვაქვს. ერთი პერიოდი, სულ არ იყო სადგურები. ახლა დაუმატეს და უფრო მეტი სინჯის აღება ხდება, მაგრამ ეს არის მოძრავი სადგურები, ანუ ერთი ადგილიდან მეორეზე გადადის, მეორიდან — მესამეზე. ამიტომ უნდა არსებობდეს სტაციონარული სადგურებიც, რადგან ამით უფრო ზუსტი სურათი დაიხატება. შეიძლება, ზოგან პიკის საათებში იყოს დიდი დაბინძურება, მაგრამ დილის საათებში ნაკლები ფიქსირდებოდეს, რადგან ტრანსპორტი ნაკლებია. მონიტორინგი უნდა ხდებოდეს ერთი და იმავე წერტილებიდან და ასეთი მეტი წერტილია საჭირო. რაც შეეხება 111 მკგ/მ³ მტვრის ნაწილაკებს, რომელიც მელიქიშვილზე დაფიქსირდა, ეს არ არის ჰაერში გაფრქვეული გაზები, ეს არის მტვრის მყარი ნაწილაკები. ცხადია, მათი რაოდენობა ამდენი არ უნდა იყოს, რადგან ეს უფრო სახიფათოა ჯანმრთელობისთვის. მტვრის ნაწილაკების დაბინძურების დონე მაღალია თბილისში. მართალია, ტრანსპორტიდან გაზი გამოიფრქვევა, მაგრამ მყარი ნაწილაკებიც გამოიფრქვევა. თითოოროლა აღებული სინჯი კი სრულ სურათს ვერ იძლევა“,** — აღნიშნა მანანა დევიძემ.

მანვე ისურვა, დედაქალაქში გაჩნდეს ეკოლოგიურად სუფთა ერთი უბანი მაინც, რასაც დანარჩენ უბნებს მივუსადაგებთ. სწორედ ასე ხდება უცხოეთში. მაგალითად, ვილნიუსში არის ასეთი უბანი, სადაც აკრძალულია მაღლივი შენობების აშენება, რადგან ის ეკოლოგიურად მდგრად ადგილად ითვლება. ბევრ ქალაქშია ასეთი პრაქტიკა. სხვათა შორის, კრწანისის დასახლებაში არის ასეთი მეტ-ნაკლებად სუფთა ადგილი, რომელიც ადრე სამთავრობო რეზიდენციად ითვლებოდა. ამიტომ ნიმუშად უნდა აიღონ კრწანისის დასახლება და მას შეუდარონ სხვა უბნები.

„თუმცა კრწანისშიც უკვე გაცხარებული მშენებლობები დაიწყეს. ამიტომ **მერიის არქიტექტურის სამსახურის წინაშე აუცილებლად უნდა დაისვას საკითხი, რომ ერთი უბანი მაინც დატოვონ თბილისში, რომელიც ეკოლოგიურად საჩვენებელი, ფონური უბანი იქნება“.**

**მანანა ნოზაძე**

---

**ლარიზაციის 9 თვე**

# გაძვირებული ლარი და გაზრდილი მოთხოვნა ეროვნულ ვალუტაზე

**საქართველოში, მთავრობის ინიციატივით ლარიზაციის გეგმა 17 იანვრიდან ამოქმედდა. ამ პერიოდის განმავლობაში ლარზე მოთხოვნა გაიზარდა, ასევე მოიმატა ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა. სამაგიეროდ, ლარიზაციის ერთ-ერთი მთავარი მიზანი, რაც სესხების დედოლარიზაციას გულისხმობს, სრულდება დოლარში, ეს მაჩვენებელი მცირედით, მაგრამ მაინც მცირდება. სპეციალისტების თქმით, პროცესი კარგად მიმდინარეობს, თუმცა უკეთეს შედეგის მიღებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა.**

ლარიზაციის გეგმის მიმდინარეობისა და მისი ეფექტიანობის შეფასება „კომერსანტმა“ ექსპერტებს სთხოვა.

„საზოგადოება და ბანკების“ ანალიტიკოსი **გივი ადეიშვილის** განცხადებით, 2016 წელს სესხების დოლარიზაცია თუ იყო 65 პროცენტი, 2017 წლის 9 თვეში ეს რიცხვი 57 პროცენტამდე შემცირდა.

მისი განცხადებით, ლარიზაციის პოლიტიკა ეროვნულმა ბანკმა 2010 წლიდან დაიწყო, როდესაც პირველად შემოიღო რეფინანსირების ინსტრუმენტი. სწორედ ამის საშუალებით დაიწყო ლარში იპოთეკური სესხების გაცემა.

როგორც ადეიშვილი განმარტავს, იმ დროისათვის სესხების განაკვეთი 7 პროცენტიდანაც კი იწყებოდა. მისი განცხადებით, სესხების დოლარიზაცია 2010 წლისთვის დაახლოებით 87 პროცენტი იყო, 2016 წლის ბოლოდე კი ეს მაჩევენებელი 65 პროცენტამდე შემცირდა. რაც შეეხება 2017 წლის 9 თვეს, სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა და სესხე-



ბის დოლარიზაცია 57 პროცენტამდე შემცირდა. „ეს საკმაოდ კარგი მაჩვენებელია“ — აცხადებს ადეიშვილი.

ადეიშვილის თქმით, ლარიზაციის გეგმის ფარგლებში გაიზარდა მოთხოვნა ლარზე, რამაც საპროცენტო განაკვეთი ბოლო ერთი წლის განმავლობაში, დაახლოებით 2.5 პროცენტით გაზარდა და დოლარში შეამცირა.

ექსპერტი ლარიზაციის პოლიტიკასა და ლარის კურსს შორის კავშირსაც განმარტავს და აცხადებს, რომ ლარიზაცია არანაირ დადებით გავლენას გაცვლით კურსზე არ მოახდენდა. **„ვინც ამას აცხადებდა, ეს იყო ტყუილი. ლარიზაციის პოლიტიკა იმისკენ არ იყო მიმართული, რომ კურსი გაემყარებინა. ლარიზაცია მოსახლეობას და ბიზნესს სავალუტო რისკების აცილებაში ეხმარება. გაცვლით კურსს ლარიზაცია ვერ გაამყარებს“** — აცხადებს ადეიშვილი.

„ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ პრეზიდენტის **პაატა ბაირახტარის** განცხადებით, ლარიზაციის პოლიტიკა გრძელვადიანია, შესაბამისად, მის შედეგებზე საუბარი ნაადრევია.

**„თუ შევხედავთ სესხების პორტფელს, გაზრდილია ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების რაოდენობა. თუმცა, იმის თქმა, რომ ეს შედეგი ლარიზაციის პოლიტიკის გამო დაიდო, სწორი არ იქნება. ეს გამოიწვია წმინდა ტექნიკურმა საკითხმა, ვგულისხმობ იმას, რომ 2017 წლის იანვრიდან 100 000-მდე სესხების გაცემა მხოლოდ ლარშია შესაძლებელი. ამან რა თქმა უნდა, სესხების პორტფელზე გავლენა იქონია. რაც შეეხება ანაბრების პორტფელს, აქ უკეთესობისკენ დიდი ძვრები არ გვაქვს“** — აცხადებს ბაირახტარი.

როგორც ბაირახტარი აცხადებს, ლარიზაციის გეგმას 9 თვეში ლარის კურსზე გავლენა ვერ ექნება.

მართალია, ლარზე მოთხოვნა გაიზარდა, თუმცა ამავე დროს, მოიმატა ლარში გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთებმა. ეროვნული ბანკის 2017 წლის სექტემბერის მონაცემებით სესხებზე წლიური საბაზრო საპროცენტო განაკვეთი 16,6%-ს შეადგენს (2016 წელს — 13,9%).

ამავე მონაცემებით, ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების საშუალო საბაზრო საპროცენტო განაკვეთი გასულ წელთან შედარებით 3.2 პროცენტითაა გაზრდილი. (2016 წლის სექტემბერი — 17.2 %, 2017 წლის სექტემბერი — 20.4%).

შედარებით მაღალია ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებზე დაწესებული საპროცენტო განაკვეთი. კერძოდ, ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემებით 2017 წლის სექტემბერში ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებზე წლიური საბაზრო საპროცენტო განაკვეთი 25.8 %-ს შეადგენდა, 2016 წლის ანალოგიურ პერიოდში ეს მაჩვენებელი 24,1%-ს შეადგენდა.

შეგახსენებთ, ლარიზაციის პროგრამის ფარგლებში 100 000 ლარამდე სესხები მხოლოდ ადგილობრივ ვალუტაში გაიცემა, ახალი რეგულაცია 2017 წლიდან მოქმედებს. 2018 წლიდან კი ეს თანხა 200 000 ლარამდე გაიზრდება.

**სოფო ქსოვრელი**



# ჩავლილი მატარებელი

## ოჰ, ეს შესანიშნავი სიბრძნე – მოყვარეს პირში უძრახე!..

ალბათ, ყველა ჟურნალისტს ჰყავს „თავისი“, მარად ერთგული და თავგადაკლული მკითხველი.

მეც მყავს: ქალბატონი ლონდა მამულაიშვილი – ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტში არსებული ვაჟა-ფშაველას კაბინეტის თანამშრომელი.

საუბედუროდ, დღეს კაბინეტიც ყოფილია და თანამშრომელიც(?!)...

დაახლოებით ერთი თვის წინათ, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა ჩემი ესე ზვიად გამსახურდიაზე, უფრო ზუსტად კი როსტომ ჩხეიძის წიგნზე („ეკლის გვირგვინი“), რომელიც საქართველოს პირველ პრეზიდენტს ეძღვნება (სხვათა შორის, ეს სტატიაც მასსავით მრავალტანჯული აღმოჩნდა).

დამირეკა ქალბატონმა ლონდამ. ჩვეული გულუხვობით შემაქო და სამადლობელს თხოვნაც მოაყოლა – კახა კალაძეზეც დაწერე, უსინდისოდ ებრძვიანო.

ვეცდები-მეთქი.

თხოვნა რამდენიმე დღის წინათ შევუსრულე.

დამირეკა. კიდევ უფრო შემაქო და ისევ თხოვნა მოაყოლა – ბურჯანაძეზე დაწერეო.

უკვე მეორედ შემიკვეთა სტატია ქალბატონმა, ვისაც სწორედ იმიტომ ვუყვარვარ (მისი სიტყვებია), რომ შეკვეთით არასოდეს ვწერ.

ვერ დაგპირდებით-მეთქი.

ატირდა:

ივანიშვილს ქურდი როგორ უწოდაო;

რა უსინდისოდ ებრძვიან კაცს, რომელმაც თავის ქვეყანას მილიარდები დაახარჯაო;

ჩვენ რომ უნივერსიტეტში ჩაგვკეტეს და წყალსაც კი არ გვაწვდიდნენ, ჩვენს მიმართვას ნინომ ყურიც არ ათხოვაო...

ზვიადისთვის რომ ტიროდნენ, საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ თუ ქალბატონები ბიძინასთვისაც ტიროდნენ, მართლა არ ვიცოდი.

ისე ტიროდა, ცრემლებს ტელეფონშიც ვხედავდი.

მაინც ვერ დაგპირდებით-მეთქი...

* * *

ბურჯანაძეზე დასაწერად ხშირად ამქავებია ხელი, მაგრამ ყოველთვის შევუჩერებივარ ერთ დაუწერელ კანონს.

თავის დროზე ძალიან მომეწონა ირაკლი ღარიბაშვილის ხუმრობა – ცოლის ნათესავი რომ ნათესავად არ უნდა ჩავთვალოთ.

მაგრამ ეს ხუმრობა მე ვერ მანუგეშებს, სხვათა შორის, ვერც იმის შეგრძნება, რომ ბურჯანაძეებთან შებრუნებითაა – ქმრის ნათესავები ნათესავებად არ ითვლებიან...

მოკლედ, ბურჯანაძის თემას ჩემთვის ყოველთვის ტაბუ ედო, მაგრამ ტაბუსაც აქვს საზღვარი, ისევე, როგორც უტიფრობას.

თვით ქალბატონ ლონდასაც ვაწყენინებდი, ქალბატონ ნინოს ეს ზღვარი რომ არ გადაელახა.

ქურდიო?!

* * *

წლების წინათ ნინო ბურჯანაძეზე არაერთი მახვილი ხუმრობა ვრცელდებოდა.

დღემდე მახსოვს თვით „კავკასიის“ ეთერში გარბენილი სტრიქონები:

„მარგარეტ ტეტჩერს რომ ედრება, ის ბარონესა იყო, ეგ კი ანზორესაა“;

„ ნინო ბურჯანაძესა და სალომე ზურაბიშვილს შორის ზუსტად იმდენი განსხვავებაა, რამდენიც პარიზსა და ქუთეისს შორის“.

ბიძინა კვერნაძის ღრმა ქვეტექსტის შემცველ ხუმრობას აღარ გავიხსენებ...

* * *

ხუმრობა – ხუმრობად და მინდა, ქალბატონ ნინოს მთელი სერიოზულობით მივმართო:

სად იყო თქვენი აღშფოთება მაშინ, როცა არჩევნებს ხათუნა გოგორიშვილი აყალბებდა?!

პირადად თქვენს სასარგებლოდაც რომ აყალბებდა?!

ბიძინა ივანიშვილი რომ არა, რით დამთავრდებოდა თქვენი „ჯოხების რევოლუცია“ და დღეს სად იქნებოდით?

მიხეილ სააკაშვილი რომ თქვენს კვოტას არ შეხებოდა, დღესაც ხომ პარლამენტის თავმჯდომარე იქნებოდით და ხომ სრულიად მისაღები იქნებოდა თქვენთვის მისი პრემიერ - მინისტრობა?!

ხშირად იმეორებთ, ქართველ ხალხს კარგი მეხსიერება აქვსო.

გეთანხმებით.

მაგრამ ქართველ ხალხს თქვენი მოქმედებანიც ახსოვს – ერთ ლარად მიღებული წყნეთის ტყე; მოშიმშილეთათვის ვერგამეტებული პლედი; შვიდი ნოემბრის შემდეგ შენარჩუნებული თანამდებობა...

საფურაჟე ხორბლით დატვირთული გემებიც ახსოვს.

„პრინცესა ქერის მარცვალზე“ – ეს გამოთქმაც მაშინ მოგისადაგეს...

ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკური სივრციდან ჩემი გაქრობა სურსო, – აცხადებთ.

კარგად გითხრათ ბატონმა ალეკო ასლანიშვილმა – თქვენმა მატარებელმა უკვე ჩაიარა და ვეღარ დაეწევითო.

ქალბატონო ნინო, პოლიტიკური სივრციდან უკვე გამქრალი ხართ და ბიძინა ივანიშვილს ამისთვის თავის შეწუხება აღარ სჭირდება.

თქვენ და კიდევ ბევრ „პოლიტიკურ ლიდერს“ დღეს მხოლოდ სატელევიზიო არხები თუ გაცოცხლებენ, უფრო ზუსტად , თავიანთ გადაცემებს აცოცხლებენ და საზოგადოებას ეუბნებიან, ნახეთ, რა მიუკერძოებლები ვართ, ბალანსს როგორ ვიცავთო.

აწ უკვე მხოლოდ ამისთვის თუ გამოდგებით.

ეს – პოლიტიკაში.

ცხოვრებაში კი ღმერთმა ხელი მოგიმართოთ.

ყოველთვის გამახარებს თქვენი და თქვენი ოჯახის სიკეთე.

მჯერა, ვერასოდეს ვერავინ და ვერაფერი შეგიბღალავთ შვილის, მეუღლისა და დედის რეპუტაციას.

ჰოდა, იყავით კვლავაც სანიმუშო შვილი, დედა, მეუღლე...

რატომ არ შეიძლება, აწ უკვე თქვენი პროფესიით ილვაწოთ?! – იყავით კარგი იურისტი ანდა ლექტორი...

ხშირად უსვამთ ხაზს პატიოსნებას.



ამის უფლება ნამდვილად გაქვთ, ოღონდ არა პოლიტიკაში.

პატიოსნება იმის აღიარებასაც გულისხმობს, რომ მატარებელმა უკვე ჩაიარა...

**იოსებ ჭუმბურიძე**

# „გაზიფიცირებამდე პრობლემა ვერ მოგვარდება“

## რატომ ვერ ხერხდება ხე-ტყის უკანონო ჭრების აღკვეთა?

**საქართველოს ტყეებში ხე-ტყის უკანონო ჭრის ფაქტები ყოველწლიურად იზრდება. მიუხედავად გამკაცრებული კონტროლისა, ასეთი ფაქტების მინიმუმამდე დაყვანა მაინც ვერ ხერხდება. განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობაა სამცხე-ჯავახეთში, სადაც უკანონოდ მოჭრილ ხეებს თითქმის ყოველ კვირა ავლენენ, აჭარიმებენ იმ საამქროებსაც, სადაც ასეთი მასალის დამუშავება ხდება.**

ხე-ტყის უკანონო ჭრის ფაქტების სიხშირეზე და პრობლემის გადაჭრის გზებზე „კომერსანტი“ არაერთხელ იტყობინებოდა. პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტის წევრი გიორგი გაჩეჩილაძე ჩვენთან საუბრისას პრობლემის აღმოფხვრის ერთ-ერთ საშუალებად რეინჯერების რაოდენობის გაზრდას ასახელებდა. რეინჯერების რაოდენობის გაზრდის აუცილებლობაზე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტშიც საუბრობდნენ და აღნიშნავდნენ, რომ ხე-ტყის უკანონოდ მოჭრას ე.წ. სოციალური ჭრების პროგრამაც უწყობს ხელს. მაშინ "კომერსანტისთვის" ცნობილი გახდა, რომ მომავალი წლიდან აღნიშნული ჭრების განხორციელების უფლება მოსახლეობის ნაცვლად, მხოლოდ სახელმწიფოს ექნება.

თუმცა მანამდე, სანამ რეინჯერების რაოდენობა გაიზრდება და ე.წ. სოციალური ჭრების პროგრამა შეიცვლება, საქართველოს ტყეებიდან კვლავ დიდი რაოდენობის ხე-ტყის უკანონოდ ჭრა ხორციელდება, მათ შორის, რამდენიმე დღის წინაც, ბორჯომში, ადიგენში, ნინოწმინდაში, ახალციხესა და ასპინძის რაიონებში უკანონო გაჩეხვის 161 ფაქტი და უკანონო სახერხი საამქროები გამოვლინდა.

„კომერსანტი“ რამდენიმე დღის განმავლობაში ცდილობდა ბორჯომის გამგებელთან და სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორთან დაკავშირებას და გარკვევას, თუ რატომ ვერ ახერხებს ადგილობრივი ხელისუფლება ხე-ტყის უკანონო ჭრების აღკვეთას? თუმცა მთელი ამ პერიოდის განმავლობაში არცერთმა მათგანმა სატელეფონო ზარებს არ უპასუხა.

რაც შეეხება პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის კომიტეტის წევრს, გიორგი გაჩეჩილაძე აღნიშნავს, რომ ზამთრის მოახლოებასთან ერთად, უკანონო ჭრის ფაქტები გახშირდება.

**დღევანდელი მდგომარეობით, ძირითადი დატვირთვა საქართველოს ტყეებზე სწორედ საშეშე მერქანზე მოდის. საშეშე მერქნის რაოდენობა, რომელიც მოსახლეობას სჭირდება, ძალიან დიდია, რაც ტყეებისთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს. ამიტომ გაზიფიცირების პროგრამა, რომელიც საქართველოში ხორციელდება, მნიშვნელოვანია. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში დაახლოებით 180 000 ოჯახის გაზიფიცირება მოხდა. ამან სიტუაცია საგრძნობლად შეამსუბუქა, მაგრამ პროცესი გრძელდება და გაზიფიცირების პროგრამა სრულად რამდენიმე წელიწადში დასრულდება. ალტერნატიული საწვავი თუ არ მიეცემა მოსახლეობას, ანუ მთლიან გაზიფიცირებამდე ეს პრობლემა ყოველთვის იქნება და ვერ მოგვარდება“,** – აცხადებს გაჩეჩილაძე.

მისივე თქმით, პრობლემაზე პარლამენტი უახლოეს თვეებში იმუშავებს და საკანონმდებლო ორგანოში ახალი სატყეო კოდექსი შევა, რომელმაც სამომავლოდ ხე-ტყის უკანონოდ მოპოვების ფაქტები უნდა შეამციროს.



**„ახალი სატყეო კოდექსი გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ მომზადებულია, რომელიც პარლამენტში განსახილველად წლის ბოლომდე შემოვა. ჩემი აზრით, პარლამენტში ტყის კოდექსის მძიმე განხილვები წარიმართება, რადგან ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხია. ქვეყნის ტერიტორიის 40% ტყეს უკავია“,** – აღნიშნავს „მწვანეთა პარტიის“ ლიდერი.

გაჩეჩილაძე იმაზეც საუბრობს, რომ მოსახლეობა ტყეს არ უფრთხილდება, ეს მხოლოდ საქართველოს პრობლემა არ არის და ევროკავშირის ქვეყნებშიც საკითხი მწვავედ იდგა: **„სამწუხაროდ, ადამიანები ცდილობენ, რომ კანონს ზურგი აუარონ. ამიტომ შესაბამისი სტრუქტურა ძლიერი უნდა იყოს, რომ ამას ყურადღება მიაქციოს. მომავალი წლის ბიუჯეტის ფონზე გვინდა, რომ ტყის მცველების რაოდენობა გავზარდოთ. უკვე გავზარდეთ, მაგრამ იცით, რომ საკმარისი არ არის. იმ დონემდე რომ მივიდეთ, რა დონეზეც ევროკავშირია, წლები გვჭირდება.“**

**თეონა კენჭიაშვილი**

**აგანგალა, განგალა!**

# რაც მისატევებელი და მიუტევებელია...

## ციკლიდან „წერილები მაგნოლიების ქალაქიდან“

**ასეთი აზრი დამებადა, როცა ჟურნალ „ჭოროხში“ (2014 წ. № 6, 2015 წ. №2) პოეტ ჯემალ ჯაყელის ჩანაწერები („იმხანად“) წავიკითხე.**

მაიაკოვსკის ლექსი („როცა დავადგი ფეხი კავკასიას, მყისვე გამახსენდა, რომ მე ქართველი ვარ“) პოეტური მეტაფორაა და მისი ქართველობის საბუთი არ არის. ბატონი ჯემალი წერს: **„მაიაკოვსკი პაოლო იაშვილის დედით ძმა იყო.“** სრული აბსურდია. თუ ეს ასე იყო, მაშინ ორივეს ერთი დედა უნდა ჰყოლოდათ. როგორც ჩანს, ავტორს დაავიწყდა ზემოთ ნათქვამი „დედით ძმები“ არიანო და განაგრძობს: **„სამწუხაროა, რომ მამით ორივე ძმამ ვლადიმერ იაშვილმა (მაიაკოვსკი) და პაოლო იაშვილმა... სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულეს.“**

გამოდის, რომ თუ დედითაც და მამითაც ძმები არიან, მაშინ ორივე მაიაკოვსკი ან იაშვილი უნდა იყოს. მართალია, რომ იაშვილმა თავი მოიკლა; არსებობს მაიაკოვსკის თვითმკვლელობის ოფიციალური ვერსია, მაგრამ სხვა ვერსიით, იგი მოკლეს. რაც შეეხება მათ „ძმობას“, ამის არავითარი წყარო არ არსებობს. მაიაკოვსკი იერსახით, სულით, სისხლით და ხორცით რუსი იყო და ბატონი ჯემალის ბრალდება-ვერსია უსაფუძვლოა და, მით უფრო, ორივე პოეტისა და მათი მშობლების შეურაცხყოფაა. ამ კომენტარის გამოქვეყნება იმიტომაც ჩავთვალე საჭიროდ, რომ მომავალში ჩაუხედავმა მკითხველმა წყაროდ არ მიიჩნიოს.

ახლა მივხედოთ „იმხანინდელ“ სხვა შეცდომებს. ბატონი ჯემალი წერს: **„გორკის ქუჩაზე, დაახლოებით მაიაკოვსკის მოედანთან, ვხედავ, მოდის... კალინინი.“** უფრო ქვემოთ განაგრძობს: **„პენსიონერი კალინინი თავისუფლად მოდიოდა ქუჩაში. ეტყობა, ყოველგვარი დაცვის გარეშე.“** ბატონ ჯემალს „პენსიონერი კალინინი“ სამოციანი წლების ბოლოს მაიაკოვსკის მოედანთან ველარ შეხვდებოდა, წითელ მოედანზე რომ ეთქვა, კიდევ ჰო, რადგან იგი 1946 წლის 3 ივნისს გარდაიცვალა, ლენინის მავზოლეუმის გვერდით ასვენია და არც პენსიონერი ყოფილა, რადგან თითქმის სიცოცხლის ბოლომდე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის თანამდებობა ეჭირა. ისიც უნდა შევახსენო მკითხველს რომ, როგორც ბატონი ჯემალი წერს, სტალინს არც მალენკოვი და არც სხვა ვინმე მემკვიდრედ არ დაუსახელებია. რაც შეეხება 60-იანი წლების ბოლოს მოსკოვის ცენტრში სსრ კავშირის მინისტთა საბჭოს თავმჯდომარის კოსიგინის ყოველგვარი დაცვის გარეშე გასეირნებას, ფანტაზიის სფეროდანაა, რადგან ქვეყნის მეორე პირს, დიდი სურვილიც რომ ჰქონოდა, სახელმწიფო დაცვის სამსახური ამის უფლებას არ მისცემდა.

ბატონი ჯემალი იხსენებს მოსკოვ-პეტერბურგის რკინიგზის მშენებლობის ისტორიულ ფაქტს და ამბობს: **„როცა იგეგმებოდა მოსკოვ-ლენინგრადის რკინიგზა** (მაშინ ლენინი დაბადებული არ იყო, – შ.ზ.), **მივიდნენ თურმე პეტრე პირველთან და ჰკითხეს, რომელ სადგურში უნდა ყოფილიყო გაჩერება** (გაჩერება ყველა სადგურშია და ამას არ ჰკითხავდნენ, – შ.ზ.), **რა მიმართულება უნდა გაეთვალისწინებინათ და რამდენი მოსახვევი უნდა ყოფილიყო.“**

მსგავსი ალუზია მართლაც არსებობს, მაგრამ იგი არა პეტრე პირველის, არამედ ნიკოლოზ პირველის მმართველობას უკავშირდება და დაახლოებით 130 წლის შემდეგ მოხდა. პეტრე პირველი 1722 წელს გარდაიცვალა, როცა რუსეთში ორთქლმავლის ხსენებაც არ იყო. იგი ე. და მ. ჩერეპანოვებმა 1833 წელს ააგეს. ბატონი ჯემალი წერს: **„იმპერატორმა** (იგულისხმება პეტრე პირველი, – შ.ზ.) **მარცხენა ხელის იდაყვი დადო მაგიდაზე. ხელი დაიჭირა ვერტიკალურად. ცერი გაიშვირა განზე და ხელის მტევანს სახაზავი** (თუ ფანქარი? – შ.ზ.) **ცერისკენ ჩამოუსვა. სახაზავმა მხოლოდ ერთი კუთხე უჩვენა ცერზე გასმით. ამით უსიტყვოდ ანიშნა იმპერატორმა, რომ მხოლოდ ერთი ბლაგვი კუთხით უნდა გაემართათ რკინიგზა“** (სტილი დაცულია). გაიგე რამე, პატივცემულო მკითხველო? ვერც მე გავიგე. ეს ამბავი სულ სხვაგვარად იყო, რომლის კომენტირებას აღარ ვაპირებ. მოსკოვ-პეტერბურგის რკინიგზის მშენებლობა 1855 წელს დასრულდა, როგორც გითხარით. იმპერატორი ნიკოლოზ პირველი იყო, მაგრამ მის გახსნას ველარ მოესწრო. იგი დააპროექტა ავსტრიელმა არქიტექტორმა გენსნტერმა. პირველად ეს პროექტი უარყვეს, მაგრამ შემდეგ მაინც შეასხეს ხორცი.

„იმხანინდელ“ ჩანაწერებში ბატონი ჯემალი ლერმონტოვსაც გადასწვდა – **„მაშინ ჩემთვის ცნობილი იყო,** – წერს იგი, – **ლერმონტოვის წიგნი „აშიკ კერიბ“**. ჯერ ერთი, ქართულად უნდა იყოს „ყარიბი აშული“ და, რაც მთავარია, ლერმონტოვის ასეთი წიგნი ბუნებაში არ არსებობს. იგი ლერმონტოვის წიგნი კი არა, ოთხ-



ფურცლიანი აზერბაიჯანული ზღაპარია, რომელიც ლერმონტოვმა 1837 წელს თბილისში ჩაიწერა რუსული ენის კარგად მცოდნე აზერბაიჯანელისგან და, ცხადია, არა ახუნდოვისგან. ამ უკანასკნელს მაშინ, როგორც მწერალს, თბილისში არავინ იცნობდა, რადგან სრულიად ყმაწვილი იყო. არც ლერმონტოვი იყო მაშინ ისე გამოჩენილი. ბატონ ჯემალს ხელში ჩავარდნია, როგორც თავად ამბობს: **„არაბული დამწერლობით გამოცემული თურქულენოვანი „აშიკ კერიბი“ – პატარა წიგნი... უცხოენოვანი წიგნი ვათარგმნიე და შევადარე ლერმონტოვის დასახელებულ წიგნს. მათ შორის იყო უდიდესი მსგავსება. ამ ფაქტმა კიდევ უფრო გააძლიერა კვლევისადმი ინტერესი. გამოირკვა, რომ თბილისში სტუმრად მყოფი ლერმონტოვი გაიცნო იმ დროს თბილისში მცხოვრებმა აზერბაიჯანელმა პოეტმა მირზა ფათალი ახუნდოვმა და მოუყვა აღმოსავლური ხალხური თქმულება „აშიკ კერიბი“. აღმოჩნდა, რომ პირველი მოსმენით რაც დაიმახსოვრა ლერმონტოვმა, მოეწონა და გადაიტანა ქაღალდზე. ლერმონტოვის სიკვდილის შემდეგ მის გამომცემლებს ეს მისი ორიგინალური ნაწარმოები ეგონათ და საბავშვო ეგიდით გამოსცეს იგი მილიონი ეგზემპლარი.“**

ერთი შეხედვით, ამ უწყინარ ციტატაში შეცდომების კასკადია. ზღაპარი აზერბაიჯანულია. მოქმედება იწყება და მთავრდება თბილისში. რუსებს იგი ცალკე წიგნად (სულ ოთხი ფურცელია) არ გამოუციათ. ცხადია, არც საკვლევია რამე. ბატონი ჯემალი რომ ამბობს, ახუნდოვისგან მოისმინაო, ამნაირი წყარო არ არსებობს. ლერმონტოვის შემოქმედების გამოჩენილი მკვლევარი ირაკლი ანდრონიკოვი თავის კომენტარებში, რომელიც ერთვის ლერმონტოვის რჩეული ნაწერების ოთხტომეულის მე-4 ტომს, რომელშიც „ყარიბი აშულიცაა“ დაბეჭდილი და, როგორც ჩანს, ბატონი ჯემალი არ იცნობს, ვკითხულობთ, რომ 1845 წელს ვლადიმერ სოლოგუბს კრებულში „გუშინ და დღეს“ შეუტანია ლერმონტოვის ნაწარმოები და მ.შ. „ყარიბი აშულიც“. ანდრონიკოვი იმასაც შენიშნავს, რომ სოლოგუბის ხელში მოხვდა ლერმონტოვის ნაწერების დასტა, რომელიც შეურჩევია პოეტს კავკასიიდან ბოლოდროინდელი დაბრუნების შემდეგ. იგი ფიქრობდა, რა შეეტანა ტომეულში და რა გადაეყარა. ეს ნაწერები სოლოგუბისთვის გადაუცია პოეტის სამხედრო მეთაურის ვაჟს ლევ არნოლდს. ზოგი მათგანი დღეს დაკარგულად ითვლება. ეს არის და ეს. ხსენებული ზღაპარი, როგორც ლერმონტოვის ორიგინალური ნაწარმოები, შემდეგ არასოდეს გამოქვეყნებულა. ბატონ ჯემალს ჰგონია, რომ ამერიკა აღმოაჩინა. მას არც ის სცოდნია, რომ არსებობს ამ ზღაპრის სამი ვარიანტი – აზერბაიჯანული (ჩაწერილი ბაქოს გუბერნიის სოფელ ტირჯანში), ქართული (ჩაწერილი ახალციხის რაიონში 1830 წელს 70 წლის გლეხისგან) და სომხური. ბატონ ჯემალს რომ მეტი პასუხისმგებლობა გამოეჩინა და გასცნობოდა ანდრონიკოვის წერილებს ლერმონტოვზე და „ყარიბი აშულის“ კომენტარებს, ასეთ დასანან შეცდომებს ასცდებოდა.

იმანაც გამაკვირვა, ბატონი ჯემალი უდიერად რომ ეპყრობა ქართულ ენას. მე არა მგონია, რომ არ იცოდეს რუსული „კუპოლი“, ქართულად გუმბათი რომაა, „შკაფი“ კარადაა, „კაპჩიონი“ შებოლილია. „რიუმკა“ ქართულად სირჩაა. ხან წერს „რომკას“, ზოგან – „რიუმკას“. რუსულის არცოდნა არცოდვაა, მაგრამ მშობლიური ენა მწერალმა კარგად უნდა იცოდეს, უნდა იცოდეს, რომ წისქვილს ერთი კარი აქვს და არა – კარები, რაც რუსულის კალკია.

ბატონ ჯემალს სურს „იმხანად“ თავი ალენ დელონად წარმოადგინოს, რომ ქალები მისთვის ჭკუას კარგავდნენ და ა.შ. იგი წერს, რომ რუსი გოგონა ინა ლეტიჩევა ცეკაში სუსლოვთან მისულა, ქართველი პოეტი ჯემალ ჯაყელი შემიყვარდა და როგორ მოვიქცეო. სიცრუეა ასევე მისი რომანი ნინა მალიუკოვასთან. მაშინ იგი გორკის ინსტიტუტში დეკანი კი არა, უმაღლესი კურსების კურატორი იყო. როცა ჯემალი მოსკოვში სწავლობდა, ნინა 67 წლის იყო, თავად კი ორმოცის. ერთხელ მ. ქვლივიძესაც წამოსცდა თუ წაიტრაბახა, ანა ახმატოვასთან რომანი მქონდაო, რომელიც მას ბებიად ერგებოდა.

თოვლში ჩარჩენილი მანქანის ამოყვანის ამბავიც ყალბია, რადგან, როცა მოსკოვში სწავლობდა, მაშინ მანქანის ტარება არ იცოდა. ბატონი ჯემალი წერს, რომ მოსკოვის ერთ-ერთ მუზეუმში, უცხოელ ტურისტთა ჯგუფიდან ერთი კაცი გამომეცნაურა. მას ჯემალი ძალიან მოსწონებია და თავისი ქალიშვილის სურათი უჩვენებია. მოვუსმინოთ პატივცემულ ჯემალს: **„გამიკვირდა, რატომ მაჩვენა-მეთქი. გაკვირვება რომ შემატყო, მითხრა, ეს ჩემი ქალიშვილია. მე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი ვარ, კარგი ბინა მაქვს, კარგი აგარაკი და მანქანები... წამოდი ჩემთან, ამ ჩემს შვილს მოგათხოვებ და იცხოვრე ჩემთან“** (სტილი დაცულია). ამ სისულელეს თუ ერთი კაცი დაიჯერებს, მაშინ მეც სულელად ჩამთვალე, პატივცემულო მკითხველო. ჯერ ერთი, რომ გერმანიის ფინანსთა მინისტრი სამუშაო ვიზიტით თუ ჩამოვიდოდა სსრ კავშირში და არა – ტურისტული საგზურით.

ბატონი ჯემალი ერთ ანეკდოტსაც გვთავაზობს, როცა იმამ შამილზე წერს: **„ბოლოს შეიპყრეს. დაღლილმა და დაქანცულმა შამილმა უცებ დაამთქნარა. გენერალმა, რომელიც ბედნიერი იყო მისი შეპყრობით, დამცინავად უთხრა შამილს: – ისე ღრმად ამთქნარებ, რომ, გეტყობა, ჩემი ჩაყლაპვა გინდაო. შამილმა დამაჯერებლად მიუგო: – ნუ გეშინია, მე ღორის ხორცს არ გეახლები“.**

ამ ანეკდოტის იქით, ბატონ ჯემალს არ სცოდნია, რომ გენერალი, რომელმაც იმამი შამილი დაატყვევა, გრიგოლ ორბელიანი იყო.

ასეთია ჩემი არასრული კომენტარი თუ შენიშვნები ბატონი ჯემალის „იმხანინდელ“ ჩანაწერებზე. მკითხველის განსასჯელია, მათ შორის რომელია მისატევებელი და რომელი – მიუტევებელი. ჩემი დიდი სურვილია, რაც შეიძლება მეტი მიუტევოს.



**შოთა ზოიძე**
**ქ. ბათუმი**

# ესტონური ტელეკომპანია „CANAL 2“ აჭარას გადაცემათა ციკლს უძღვნის

**აჭარის შესახებ ესტონეთში წამყვან ტელეარხზე „Canal 2“თემატური რეპორტაჟები გადის. გადაცემა „Reporter“, რომელიც ესტონეთში ყოველდღიურად, საღამოს 7 საათზე გადაიცემა, რეგიონის თითოეულ ტურისტულ პროდუქტს ვრცელ მასალას უძღვნის. გადაცემის სპეციალურ სამოგზაურო ბლოგში უკვე გავიდა რეპორტაჟები დელფინარიუმის, ღვინის ტურიზმისა და ბათუმის შესახებ. ნოემბრის პირველ კვირამდე კი ტელეარხი დამატებით 7 რეპორტაჟის გაშვებას გეგმავს, რომლებიც თემატურად მთიან აჭარას, კულინარიას, ფოლკლორსა და ზოგადად, აჭარაში მოგზაურობას დაეთმობა.**



ტელეკომპანიის ჟურნალისტები რეგიონს აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მოწვევით სტუმრობდნენ. დეპარტამენტმა რეგიონის პოპულარიზაცია ესტონეთში წელს დაიწყო, რაც გარე რეკლამას, ონლაინ რეკლამასა და პრეს-ინფოტურების ორგანიზებას ითვალისწინებდა.



## დილარ ივარდავა

# ო, ოდაბადევ, ძვირფასო დედავ!

## კოლხეთის მივსტირი

განა პირისპირ ხმლით ან მახვილით,
არამედ ზურგთა მიყრდნობით ზურგის,
სიმხნევითა და გრძნობის ძახილით
მხარში ვედექი მშობლიურ ზუგდიდს!
აქ წინაპართა სულის ნათებას
თუთარჩელას რძით ვაქათქათებდი,
მუდამ მოჩანდა მძლე შემართებად
გაუკვდავება ძველი ქართველის!
ზედმეტს ვერავინ შემოგვბედავდა,
ჩვენს ერთგულებას რადგან ხედავდა!
დღეს დავრჩენილვართ თითო-ოროლად,
ჟანგი მოიგდო ჩვენმა ჰოროლმა,
ერთად ყოფნის და შეკვრის უნარი
გახუნებულა გაუხუნარი!
წყეულ უკუსვლას საუბედუროდ,
რატომ დავნებდით ვეღარ ვგებულობთ?!
საით მივილტვით, არ ვიცით ისიც!
ნაცვლად წუხილის
ვეძლევით სიცილს!
ამას ხომ ჰქვია გადაშენება,
ის გავხდით, ისა, რაც მტერს ენება!
გვწყევლიდა მუდამ, ჩემო ბატონო,
უთავოდ გვევლო და უპატრონოდ!
რამ დააოჩნა კოლხური გენი,
რამ დაუთალხა ბრდღვიალა დღენი?!
კვამლი და სითბო მამულის კერის
გაგვიწიწაკდა საქმით და ენით!
აი, დაცემა ცრემლთა მომცველი
და ქრება კოლხი ღმერთზე მლოცველი!

## ია-იის უკვდავება

ნ.ბ.-ს

გაჰღვიძებია თვალჭრელა იას,
სუსხიან მარტის ციცინათელას,
მან ლოლუეთის ყიამეთს სძლია,
ყინულის სუსხმა ვეღარ გათელა.
საგაზაფხულო უნაზეს მაცნეს,
ერთობ ნებიერს — გამოეღვიძა,
თითქოსდა ტრფობით ხელახლა აცრეს
და მიუჩინეს მზე უმალ ძიძად!
— არ ეზაფრება სიყვარულს ფესვი, —
კვლავ აფუსფუსდა სიყრმის ზღაპარი;
ჟამთა რიალში სიცხადით მესმის
აზუზუნება ფუტკრის ნაყარის.
დღეები ზებრის რემისებრ რბიან,
შემოგარსულნი იის ფერებით, —
შენ მუდამ ციცინათელა გქვია,
ქმნილი ფერებად, მზის სიმღერებით.

## სევდის კალო

ურვის ბაღში სული მკვიდრად
მიეფესვა ეკალს ხლართვით,
ვამბობ: — ნეტავ, აქ რა მინდა,
ვიღორძინო ვისი ხათრით?!
რად გაუქრა სხეულს ჩრდილი,
გავხდი ღამის დანამატი,
დავფარფატებ ნისლის ჩრჩილი,
ვჭირვეულობ როგორც მარტი!
მწუხრობს ცისკრის გაცხადება,
მემატება წყლულზე წყლული,
დარდის ასე გაცხარება
შედეგია წყევლა-კრულვის!
ჩანგი როგორ ავაჟღერო,
სიმები აქვს დაწყვეტილი,
ვიფერფლები სევდის წერო,
ცაში ვქრები, ვით წერტილი!
ფრთებით ტანჯვის ლოდი დამაქვს,
რანაირად შევიცვალო?!
ვერ ვეშვები ბედთან დავას,
ვილეწები სევდის კალოდ!

## მამულს უნდა შევენივთოთ

მეძნელება ენძელებად
ომგადამხდარ მინდვრის აღქმა,
(კრთის სისხლისფერ ყაყაჩოთა
ოქრო-ვერცხლი), —
ის დრო-ჟამი კი არ ქრება,
კრთება ნათლად,
მის ნათებას ვერაფერი აწ ვერ შეცვლის!
აისისფრად დღეთა გაშლას ცხადად
ვხედავ,
გმირთა სულის მიმოქცევა
კოსმოსს რკალავს,
ხომ ყოველთვის აცოცხლებდა მამულს დედა,
დღესაც მისი შემართება გვიდგას ფარად!
ჩვენი ძვლებით ქვითკირდება ზალავარი!
ზეცას რკალავს
წინაპართა მძლავრი ფრთები
და გვაფხიზლებს სამომავლოდ
რწმენის ზარი!
ნურც მოშლოდეს ოდობადეს
შვილთა ზრუნვა,
ხელი მათი პატრონობდეს მინდორ-ველებს,
ბორჯი მოდის,
ბორჯი მიდის, ჟამი ბრუნავს —
ჩვენ კი მამულს ზვარაკებად შემოვევლოთ!

## ის, სიყმაწვილის...

აქ ჩანჩქერების ნაშხეფნი,
თითქოს ბროლია ნაფშხვენი,
ქრიან ქარები აშლილნი,
სიზმარეული რაშებით!
კაცს შთაგონებად კვლავ შველის
ყოვლის ჩაწვდომის სურვილი,
უთუოდ მომკლავს აწ შენი
და ჩემი
სიყრმის წყურვილი!

## შენ, მარადისო!

სიობლის წყევლას აზრი არ ჰქონდა,
ინისლებოდა მდინარე რუხი;
შავი ზღვის ქარებს კოლხური ოდა
ატანდა ომით ატეხილ წუხილს.
არვინ იცოდა, თუ რა მელოდა,
ისმოდა მტანჯველ ზარების რეკვა;
მეგრელ ასულთა ღვთის მელოდიას
ვერ ვაცილებდი სევდათა ეკალს.
გაურკვევლობა სულს მიხუთავდა
და ვკანკალებდი ქარში სანთური,
იმედს წუხილის ზაფრა ფუთავდა
წყეული ეშმას ხელის ფათურით!
მშველოდა ბევრი — კაცი კეთილი —
არ ჩამქრობოდა აზრი ნათელი,
კოლხური ზრუნვა — გამოკვეთილი,
მკერდზე სალბუნად მედო გათელილს!
იმ წკვარამეთში გადავრჩი ბედად,
და ვიწვი დღესაც,
კი არა — ვბოლავ, —
ო, ოდაბადევ, ძვირფასო დედავ,
ჟამს სიკვდილისას მაქციე ჟრჟოლად!

## ბოლო წილ-ხვედრი

ვულკანურ ქანებს,
უდაბნოს ქარებს
დაბადებიდან მკერდზე ვეკვრები,
არ მტოვებს წამით ყოფის რეკეტი —
სრულად მძარცვავენ ავი ფიქრები,
ვითარც ოდესღაც კახეთს ლეკები!
გამიმიზეზდა ძველი იარა,
უძველეს ქვევრებს მთხლედ ველექები,
ჩაჩუმებულა ადრე წკრიალა,
გულს მოწყვეტილი მაშინ ლექსები,
არ მეშვება და... არ დამამშვიდა
უსასრულობის განსჯამ და განცდამ,
ამქვეყნად მოსვლას რა ძალა მრჯიდა,
სულის ქაოსი მზის სხივის ნაცვლად.
და ვნება, ნება სულ გამიხურდა
წაერთვა სულეთს ჭრელი ფერები,
მუხას, ოდესღაც გულივით მხურვალს,
გარს მოჰხვევიან მუმლად მწერები!
დაშრა ჩანჩქერი დაუდგრომელი,
სამაგიეროს მიზღავს მეც ველი,
აოტებულა ძველი ქარიზმა,
მაქვს ნაოჭებში დრო ჩაჭედილი.
გადაყვლეფილა ქედი ხარისა,
ძლივს მიზოზინებს წელმოწყვეტილი.
ამქვეყნად ნუთუ იმიტომ გავჩნდი,
ტკივილიც მეგრძნო და სინანულიც,
ჩავძირულიყავ ყელამდე ვალში
საფიცარი მზის —
დედულ-მამულის?!
მცდელობა ზრუნვის გარდიქცა ფუჭად?
გული მიკვდება, სული მეხუთვის,
მარგუნეთ მიწა, სულ ერთი მუჭა,
რომელიც თურმე სანთლად მეკუთვნის!

...მივდივარ!..
ურვა და სინანული
თან მიმაქვს ჯვარად
დედულ-მამულის!!!

* * *

შემოდგომის ფერთა გამის მჯეროდა,
ის მიქსოვდა ზეცას ღვთის მოწყალებად,
ცას ფერავდა გუნდი მწუხარ წეროთა
მაიაკოვსკის ლექსის ტეხილ ბწკარებად!

ვალაგებდი სიტყვებს ფრთებჭრელ
ჰანგებად,
მოიისფრო ზეცის სიღრმის წიაღში,
მწუხრის ფერის ჰანგებთან შეფარდება
კვლავ მაბრუნებს ყრმობის აგონიაში!

* * *

ო, სიყმაწვილის წუთების
არ ჩაქრა წვა და ქმედება; —
კვლავ აღსდგა უსათუთესი
ჟამი ქცეული ლეგენდად!
კამკამა ცრემლის მძივები
ქცეულან ყელსაბამებად;
მიზეზი არდაძინების
უჩვენო წუხილს დანებდა.
კვირტი თუ ვარდად იშლება,
აგიხდებაო ოცნება,
— ასეთი აქვსო თვისება
სიყვარულს, მითხრეს მგოსნებმა.
ვთქვათ,
არ დაგინდო მეწყვილემ,
აღმოჩნდა ყოვლად ვერაგი,
ვერას გახდება მეტივე
ჭონჭყიან წყალში ყელამდის!
ყელა ლეგენდა ხუნდება,
ქრება მზე არდავიწყების,
ჯეჯილი როდი პურდება
ყინულეთში თუ იწყება!
არადა... ფიფქნი ვიყავით,
ხელუხლებელნი, კრიალა, —
დღეს ჩაშრეტილა იგავი,
მაშინ რომ აგვაბრიალა!
ვმოკლდებით,
განა ვმაღლდებით,
ბოღმით, ნაღველით ვივსებით,
მითხარით, რად ვიბადებით
უარყოფის გზის თვისებით?!

## მეუღლის აკლდამასთან

ოთხი წლის წინათ
სასწორის პინამ,
აგვისტოს ხვატის თოვლმა და წვიმამ,
ქაჯებისა და მაცილთა წილად,
მეხად და ელვად რომ გაიბრწყინა,
გრძელდება ჩემი წამება მძაფრი,
კვლავ მეძენძება ნერვების ძაფი,
კვლავ უსაშველო ჯვარცმა გრძელდება,
ვატყობ: არა და არ დაბერდება!
სიტყვა „აგვისტო“ ცეცხლად მედება,
აწ არაფერი მეიმედება!
ვერ მოვიფხრიწე სახიდან წამით
თეატრალური შავი ნიღაბი,
გასვლია ჩემთვის ყველაფერს ყავლი —
აშკარა გახდა, რასაც ვნიღბავდი!
თითქოს ციცზე ვარ ჯაჭვით მიბმული,
ვწყევლი გაჩენას, მარტო ხეტიალს,
ქვეყნად მეგობრად ვერვინ ვიგულე,
გავხდი უაზრო შარახვეტია!
გრძელდება ტანჯვა, ურვა, წამება
გულს დაწურვილი შხამის ამებად!




## ყოველი სიმღერა მას ერთ სიცოცხლედ უღირდა

**მერამდენე სევდასა და ტკივილს გვისიგრძეგანებს 2001 წლიდან საზოგადოებრივ-საინფორმაციო გაზეთი „თანადგომა“. რამდენი უდროოდ წასული სახელოვანი თანამემამულის გარდაცვალებით მოგვრილ ცრემლსა და სევდას იტევს მისი თითოეული ნომერი. 27 ოქტომბერს, ტრადიციისამებრ „თანადგომა“ ერთ პიროვნებას მიეძღვნა. გაზეთის ერთი გვერდი ვერ დაიტევს იმ ტიტულებს, რაც სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსში აღიარებულ მომღერალს, რუსთაველის პრემიის ლაურეატს ზურაბ სოტკილავას რგებია წილად. თუმცაღა ყველაზე დიდი ჯილდო ხალხის სიყვარული იყო და არის. ამის ნათელი დადასტურებაც „თანადგომის“ ზურაბ სოტკილავას ხსოვნისადმი მიძღვნილი იშვიათი ნომერია.**

დიდ პატრიოტს იგონებენ მეგობრები, ახლობლები, მისი ნიჭის თაყვანისმცემლები, უცხოელი თუ ქართველი კოლეგები — **ზურაბ ანჯაფარიძე, აზორ ერქომაიშვილი, ნოდარ ანდღულაძე, ვაჟა აზარაშვილი, ელენე ობრაზცოვა** და მრავალი სხვა... გაზეთის რედაქტორ-გამომცემელი, ბატონი **ანზორ ბაბუხადია** მადლობას უხდის ცნობილ ქველმოქმედს, ხობის ცნობილი ფესტივალისა და „სიმღერა სამეგრელოზე“ და საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ხობის“ პრეზიდენტს, ბატონ **გოდერძი ბუკიას** თანადგომისათვის, რათა ჩვენს მომავალ თაობას ერთ-ერთი კოლორიტული პიროვნების — ზურაბ სოტკილავას გახსენების მიზნით ეს შესანიშნავი გაზეთი დარჩენოდა.

**ავთანდილ ბექაური**

## ზენონ იყალთოელი

**29 ოქტომბერს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ერთ-ერთ მოწაფეს იოანე ზედაზნელისას — ზენონ იყალთოელს.**



...ცნობილია, რომ ერთ-ერთმა ასურელმა მამამ იოანემ ზედაზნის მონასტერი დააარსა. იოანემ თავისი მოწაფეები ქართლისა და კახეთის სხვადასხვა მხარეში დაგზავნა გაქრისტიანებისთვის და ეკლესია-მონასტრების დასაარსებლად.

საგულისხმოა ისიც, რომ ქართლის კათოლიკოსი ევდავიოსი დიდ დახმარებას უწევდა მას საქართველოში მოსვლის დროიდანვე...

იოანე ზედაზნელმა სწორედ ზენონ იყალთოელი მიავლინა იყალთოს მონასტერში.

იყალთოს მონასტერი ზენონ იყალთოელმა VI საუკუნის II ნახევარში დააარსა. მან ბევრი რამ გააკეთა საქართველოს ამ კუთხეში. მისმა მოღვაწეობამ დიდად შეუწყო ხელი კახეთში ქრისტიანული ეკლესიის განმტკიცებას.

შეგეწიოთ წმინდანის მადლი!

**გიული ლიპარტია**

# დიდი ტერორის „ჭანჭიკები“



## რეპრესიების მოწმე რელიკვიები...

**საქართველოს ეროვნული არქივი მასშტაბური გამოფენით გამოეხმაურა „დიდი საბჭოთა ტერორის“ მეოთხმოცე წლისთავს. ექსპოზიციაზე წარმოდგენილია როგორც რეპრესირებულთა ოჯახებში შემორჩენილი, ასევე ეროვნულ არქივში დაცული უნიკალური დოკუმენტები და ნივთები: ევგენი მიქელაძის პარტიტურა, ვახტანგ კოტეტიშვილის მარმარილოს ქანდაკება, ღვთისმშობლის ნატყვიარი ხატი, ტიციან ტაბიძის უკანასკნელი ფოტო და სხვ.**

80 წლის წინათ 1937 წლის 2 ივლისს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტბიურომ ტელეგრამა გაუგზავნა საკავშირო რესპუბლიკის ცენტრალურ და საოლქო კომიტეტებს და დაავალა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებში აღრიცხვაზე აეყვანათ სამშობლოში დაბრუნებული კულაკები და სისხლის სამართლის დამნაშავეები, რათა მათ შორის ყველაზე მტრულად განწყობილები დაუყოვნებლივ დაეპატიმრებინათ და დაეხვრიტათ „ტროიკების“ საშუალებით, დანარჩენი მავნე ელემენტები კი გადაესახლებინათ „ენკავედეს“



მითითების შესაბამისად. ორი წლის განმავლობაში დააპატიმრეს სულ 1,7 მილიონზე მეტი ადამიანი, მათგან დახვრიტეს არანაკლებ 725 ათასისა. დიდმა ტერორმა იმსხვერპლა ქართული აგროქიმიის ფუძემდებელი, პროფესორი შალვა ცინცაძე, რომელიც, მისი შვილის, იოსებ ცინცაძის, თქმით, 1924-1935 წლებში სწავლობდა და სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

**„1935 წლის ბოლოს დაბრუნდა, 1937 წელს დააპატიმრეს თბილისში და აქვე დახვრიტეს — 15 მაისს დააპატიმრეს, 14 სექტემბერს დახვრიტეს. დედაჩემიც გადაასახლეს რვა წლით მორდოვიაში, პოტმის ბანაკში („ლაგერში“), მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკასთან საერთო არაფერი ჰქონდა. მამაჩემის შექმნილი რეაქტივი, „ცინცაძის რეაქტივი“, დღესაც აქტიურად გამოიყენება, მისი სტატიებიც არ კარგავს აქტუალობას, რაზეც მეტყველებს ციტირების მაღალი სიხშირე“,** — უთხრა იოსებ ცინცაძემ რადიო „თავისუფლებას“.

1937 წლის ტერორს ემსხვერპლა ტრიფონ ჯაფარიძე — ქუთაისის საისტორიო საზოგადოებისა და მუზეუმის დამაარსებელი და პირველი დირექტორი, რომლის ძალისხმევითაც გადარჩა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის არაერთი მნიშვნელოვანი ნიმუში, მათ შორის გელათის მონასტრის განძეულობა და ხახულის ხატი. ნინო ჯაფარიძე, ტრიფონ ჯაფარიძის შვილიშვილი, ამბობს, რომ მამამისის გადმოცემით იცის, რომ ბაბუა 1937 წლის 30 ივნისს დააპატიმრეს ანტისაბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდისა და ანტისაბჭოთა ორგანიზებული ქმედების ბრალდებით.

**„ვერ მოასწრეს მისი დახვრეტა. დაიღუპა ოთხთვიანი მძიმე ავადმყოფობის შედეგად ქუთაისის ციხეში. რა თქმა უნდა, ოჯახს არ გადასცეს ნეშტი. ამიტომ დღეს ჩვენ არ ვიცით, სად არის ბაბუას საფლავი და ეს არის ძალიან სამწუხარო ჩვენი ოჯახისთვის“,** — უთხრა რადიო „თავისუფლებას“ ნინო ჯაფარიძემ.

გამოფენაზე ექსპონატების სახით წარმოდგენილია ტრიფონ ჯაფარიძის ფოტო მეუღლესა და შვილთან ერთად, მისი ჭოგრიტი და საწერი მაგიდის აქსესუარები. აქვეა სხვა რეპრესირებულთა მემორიალური ნივთები: ვახტანგ კოტეტიშვილის პორტფელი, შალვა ცინცაძის სწავლისა და მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტები, რიონჰესის მშენებლობის უფროსის ვლადიმერ ჯიქიას ალბომი, ტუსაღების მიერ ლიზიკო ქავთარაძისთვის ცოცხისგან გაკეთებული თოჯინა, საქართველოს მწერალთა კავშირის რიგებიდან გარიცხულ და შემდეგ დახვრეტილ წევრთა წიგნაკები. გამოფენის კურატორ გიორგი კაკაბაძეს მივყავართ ტიციან ტაბიძის უკანასკნელ ფოტოსთან, რომელიც 1937 წელსაა გადაღებული.

**„სახის გამომეტყველებაზე ეტყობათ ამ ადამიანებს, თუ რა უმძიმეს პერიოდში მოუწიათ ცხოვრება“,** — ამბობს გიორგი კაკაბაძე.

ტიციან ტაბიძე 1937 წლის დეკემბერში დახვრიტეს. შედარებით გაუმართლა შალვა ნუცუბიძეს, ფილოსოფოსს, უნივერსიტეტის ერთ-ერთ დამფუძნებელსა და „ვეფხისტყაოსნის“ რუსულად მთარგმნელს, რომელიც, შალვა ნუცუბიძის ქალიშვილის, თამარ ნუცუბიძის, თქმით, დახვრეტას გადაარჩინა „ვეფხისტყაოსანმა“, რომლის თარგმნითაც სტალინი იყო დაინტერესებული.

**„დიდხანს უტრიალეს და ბოლოს დააპატიმრეს ტაშისკარში, სადაც დასასვენებლად იყო ჩასული სერგო კლდიაშვილთან ერთად. როგორც სჩვეოდათ ჩეკისტებს, გამთენიისას, დილის 5 საათზე, დაადგნენ თავზე. „ვეფხისტყაოსანს“ თარგმნიდა. მოასწრო თარგმანის სერგო კლდიაშვილისთვის გადაცემა. ჯერ საქართველოში ჰყავდათ დაპატიმრებული, მერე რუსეთში გადაიყვანეს. წლების შემდეგ იხსენებდა, რუსეთში კიდევ არა უშავდაო, საქართველოში კი საშინელი პირობები იყოო. თვითონ არ უყვარდა ამ პერიოდის გახსენება, მაგრამ თურმე დედაჩემისთვის უთქვამს, ღამით ახლაც კი მესმის ხოლმე კარის რახა-რუხი, ფეხის ხმა, როგორ მიჰყავდათ ადამიანები დასახვრეტად და მოლოდინი, ვის კარზე გაისმება ბრახუნიო. ასევე უთქვამს დედისთვის, რომ ახლაც მცემს შეტრუსული ხორცის სუნი, რომელიც დაკითხვიდან შემოყვანილ ადამიანებს ასდიოდათო“,** — უთხრა თამარ ნუცუბიძემ რადიო „თავისუფლებას“.





ეროვნულ არქივში გამოფენილია ხის კოვზი და შანდალი, რომელიც შალვა ნუცუბიძეს პატიმრობიდან შემორჩა. აქვეა გამოფენილი ღვთისმშობლის ნატყვიარი ხატი, რომელიც ჩეკისტებმა დაცხრილეს მღვდელ სიმონ მჭედლიძის დაპატიმრებისას, პატრიარქ ამბროსი ხელაიას ჭიქის ვერცხლის ჩასადგამი, ციხიდან ქალიშვილისთვის გამოგზავნილი ყაისნაღი. გამოფენის კურატორი ქეთი ასათიანი გვიჩვენებს 1937 წელს დახვრეტილი რეჟისორის, სანდრო ახმეტელის, პირად ნივთებს — ჩიბუხსა და ქალალდის საჭრელ დანას მფლობელის ინიციალებით:.

**„ვეცადეთ, გამოფენაზე წარმოგვეჩინა რეპრესიების მთელი დინამიკა საქართველოს გასაბჭოებიდან დიდი ტეტორის ჩათვლით, დაწყებული ამბროსი ხელაიადან, ძმები კარბელაშვილებიდან, ვიდრე 1937 წელს დახვრეტილი სანდრო ახმეტელით, ტიციან ტაბიძით და სხვებით“.**

ისტორიკოსი დიმიტრი სილაგაძე საბჭოთა ტერორის ლოგიკაზე საუბრისას გამოყოფს ბოლშევიკური რეჟიმის მთავარ მიზანს — ტოტალიტარული სახელმწიფოსა და პიროვნების კულტის შექმნას.

**„ამ მიზნისკენ მისასვლელ გზაზე ვინც გადაეღობებოდნენ, იქნებოდნენ ეს ყოფილი თანამებრძოლები, კულტურული ელიტა ან საზოგადოების ნებისმიერი ფენის წარმომადგენლები, ნადგურდებოდნენ დაუნდობლად. საბჭოთა მოქალაქის პიროვნება არავის აინტერესებდა, ის უნდა ყოფილიყო დიდი მექანიზმის ჭანჭიკი — ეს იყო ამ წარმოუდგენელი მასშტაბის რეპრესიების უმთავრესი ლოგიკა“,** — უთხრა დიმიტრი სილაგაძემ რადიო „თავისუფლებას“.

ამ ლოგიკის ერთგვარ ილუსტრაციად გამოდგება გამოფენაზე წარმოდგენილი ხუთი წლის რუსიკო გვარამიას ნახატი, რომელიც ჩადებული იყო მამის, 1937 წელს დახვრეტილ ვიქტორ გვარამიას საქმეში, როგორც მისი მავნებლობის მამხილებელი დაშიფრული საბუთი.

**ჯიმშერ რეხვიაშვილი**

## კენედის მკვლელობის საქმის 3000-მდე დოკუმენტი გასაჯაროვდა

**განკარგულებას აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა მოაწერა ხელი. 2891 დოკუმენტი უკვე ნაციონალური არქივის ვებგვერდზეა განთავსებული. მანამდე, 24 ივლისს იგივე ბაზაზე 3 900 დოკუმენტი აიტვირთა. თეთრი სახლის ინფორმაციით, 2018 წლის ბოლომდე საქმიდან კიდევ რამდენიმე ათასი მასალა გასაჯაროვდება.**



**გავრცელებული ინფორმაციით, სპეცსამსახურებმა პრეზიდენტი ტრამპი დაარწმუნეს, რომ ყველა დოკუმენტის გამოქვეყნება ამ ეტაპზე არ შეიძლება, ამიტომ დანარჩენ დოკუმენტებს გამოძიების ფედერალური ბიურო და ცენტრალური დაზვერვის სამსახური 180 დღის განმავლობაში შეისწავლის, რის შემდეგაც ისინიც საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდება. აშშ-ის 35-ე პრეზიდენტი ჯონ კენედი 1963 წლის 22 ნოემბერს ტეხასის შტატში მოკლეს. 1992 წელს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა კენედის მკვლელობის საქმეზე სპეციალური განკარგულება მიიღო, რომლის მიხედვითაც, კენედის მკვლელობის საქმის არქივის გახსნა 25 წლის შემდეგ 2017 წელს იქნებოდა შესაძლებელი.**

## ავსტრალიის ვიცე-პრემიერის ორმაგი მოქალაქეობის გამო ახალი არჩევნები ჩატარდება

**ავსტრალიის უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ქვეყნის პარლამენტმა ვიცე-პრემიერი ბარნი ჯოისი და სამი სენატორი შეცდომით აირჩია. აღმოჩნდა, რომ ვიცე-პრემიერს ორმაგი მოქალაქეობა აქვს. ის ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის მოქალაქეა. ქვეყნის კონსტიტუცია სახელმწიფო სამსახურში ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირის დანიშვნას კრძალავს. ავსტრალიის ვიცე-პრემიერი ამბობს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას პატივს სცემს და თანამდებობას დატოვებს.**

**სასამართლოს გადაწყვეტილებით, ავსტრალიაში ახალი არჩევნები უნდა ჩატარდეს, რომელშიც მონაწილეობის მიღება უკვე გადამდგარ ვიცე-პრემიერსაც შეუძლია, რადგან. მან უკვე უარი თქვა ახალი ზელანდიის მოქალაქეობაზე, რომელიც მამის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობით ერგო.**

## მსოფლიოში პირველად რობოტს მოქალაქეობა მიენიჭა

**საუდის არაბეთში, მსოფლიოში პირველად, რობოტს მოქალაქეობა მიენიჭა. ერ-რიადში გამართულ ფორუმზე Feture investment initiative რობოტმა სოფიამ ამისთვის მადლობა მოიხადა. „მადლობას ვუხდი საუდის არაბეთის სამეფოს ამ ისტორიული მომენტისთვის, ვიყო პირველი რობოტი მსოფლიოში, რომელმაც მოქალაქეობა მიიღო“, — აღნიშნა სოფიამ, როდესაც ფორუმის სცენაზე მისთვის მოქა-**

# იელოუსტოუნის მძინარე ურჩხული

**უკვე რამდენიმე წელია, მეცნიერები განგაშს სცემენ: ამერიკაში, არიზონას შტატში იელოუსტოუნის საქვეყნოდ ცნობილი ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მდებარე, ამჟამად მძინარე სუპერვულკანი, შესაძლოა, იმაზე ადრე ამოქმედდეს, ვიდრე ეს გეოლოგ-ვულკანოლოგებს უწინ ეგონათ. ამის შესახებ ცნობა ახლახან ავტორიტეტულ ჟურნალ „ნეიშნელ ჯეოგრაფიკში“ გამოქვეყნდა, რომელიც არიზონის უნივერსიტეტის მეცნიერთა კვლევის შედეგებს ეყრდნობა.**



მკვლევარებმა იელოუსტოუნის ბოლო ამოფრქვევისდროინდელი განამარხებული ვულკანური ფერფლის ნარჩენები შეისწავლეს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ აქაური ვულკანის ამოფრქვევა გეოლოგიური თვალსაზრისით შესაძლოა, სულ რამდენიმე წამში, ანუ ჩვეულებრივი მასშტაბით რამდენიმე ათეულ წელიწადში, ერთი ადამიანური სიცოცხლის ფარგლებში მოხდეს.

## ოთხწლიანი ზამთარი

**მსოფლიოში** ერთ-ერთი ყველაზე ცნობადი იელოუსტოუნის ვულკანი იქაური ეროვნული პარკის წყალობით გახდა, რომელსაც ყოველწლიურად ტურისტთა უზარმაზარი ოდენობა სტუმრობს. სინამდვილეში **ესაა არა თავად ვულკანი, არამედ ვულკანური კალდერა – 40X80 კილომეტრზე ფართობის უზარმაზარი ღრმული, რომელიც მრავალი მილიონი წლის მანძილზე რამდენიმე ვულკანური ამოფრქვევის შედეგად წარმოიშვა**. ამ ამოფრქვევებიდან ბოლო 640 ათასი წლის წინათ მოხდა, მომდევნო კი ნებისმიერ დროს შეიძლება მოხდეს.

ამერიკის შეერთებული შტატების გეოლოგიურმა სამსახურმა იელოუსტოუნის სუპერვულკანის მოსალოდნელი ამოფრქვევის შემთხვევაში მოვლენათა შესაძლო განვითარების მოდელირება მოახდინა. **ამ გრანდიოზული ბუნებრივი კატასტროფის თანმხლები მოვლენები ბირთვული ომის შედეგების შესადარი იქნება: აფეთქების შედეგად გავარვარებული მაგმის ნაკადები დედამიწიდან 50 კილომეტრის სიმაღლეზე აიტყორცნება; ამის შემდეგ პირველსავე წუთებში, ვულკანიდან 500 კილომეტრის რადიუსში სიცოცხლე ერთიანად განადგურდება; 1200 კილომეტრის რადიუსში კი ყველა ცოცხალი ორგანიზმის 90 პროცენტი მოისპობა; 100 ათასი კაცი იმწამსვე დაიღუპება გაგუდვისა და გოგირდწყალბადით მოწამვლის შედეგად; ამერიკის შეერთებული შტატების მთელი დასავლეთი სანაპირო 1,5 მეტრის სიმაღლის ვულკანური ფერფლით დაფარულ მკვდარ ზონად გადაიქცევა.**

თუმცა, თავად იელოუსტოუნის ამოფრქვევით კატასტროფა არ დასრულდება – იქაური მიწისძვრა მთელ დედამიწაზე კიდევ რამდენიმე ასეული ვულკანის ამოფრქვევის პროვოცირებას მოახდენს. ამის შედეგად ოკეანეებში აუარება ცუნამი წარმოიშვება, რომლებიც წყნარი და ატლანტიკის ოკეანეების სანაპიროებზე ყველა ქალაქს წალეკავს.

ამოფრქვევიდან ერთ დღე-ღამეში ამერიკის შეერთებულ შტატებში მჟავების წვიმები დაიწყება, რომლებიც მთელ მცენარეულ საფარს გაანადგურებენ. ამასთან, გარდა ამისა, ატმოსფეროს ოზონის ფენის საფარში უზარმაზარი ხვრელი წარმოიშვება, საიდანაც შემოჭრილი რადიაცია ყოველივე გადარჩენილ ცოცხალს მოსპობს.

ერთი თვის შემდეგ კი ფერფლისა და ნაცრის ღრუბლები დედამიწის მთელ ტერიტორიას მზისგან დაფარავს. მკვეთრი – 10-20-გრადუსიანი – აცივება მწყობრიდან გამოიყვანს ყველა გაზისა და ნავთობის სადენს, რკინიგზას. ჩრდილოეთის ქვეყნები კი – **კანადა, ნორვეგია, ისლანდია, შვედეთი, დანია, რუსეთი** – ერთიანად განადგურდება, არსებობას შეწყვეტს, მაგრამ ყველაზე მეტად **ჩინეთი** და **ინდოეთი** დაზარალდება, სადაც კატასტროფიდან პირველ ხანებში შიმშილისგან 1,5 მილიარდი კაცი მოკვდება. მთლიანად კი, იელოუსტოუნის ამოფრქვევიდან პირველ წელიწადს, დედამიწაზე ორი მილიარდი ადამიანი დაიღუპება, ყველაზე ნაკლები ზიანი კი სამხრეთ ციმბირს მიადგება.

**„ვულკანოგენური ზამთარი“ ოთხ წელიწადს გასტანს. მთელი ასწლეულის მანძილზე კი კაცობრიობა ცივილიზაციურ და ზნეობრივ უკუსვლას, დეგრადირებას დაიწყებს და შუა საუკუნეთა ხანას დაუბრუნდება.**

ამრიგად, დასკვნა ერთია: **ტყუილად ჰგონიათ ამერიკის შეერთებული შტატების მტრებს, რომ იელოუსტოუნი მხოლოდ მას გაანადგურებს, მისი ამოფრქვევა დედამიწას ერთიანად მიაყენებს ენით აუწერელ ზიანს.**

## იქნებ დავხმარებოდით?

დღესდღეობით კი ნუგეშად მხოლოდ ის უნდა ვიკმაროთ, რომ ზემოაღნიშნული სცენარი ჰიპოთეტურია, არც ერთი სერიოზული მეცნიერი არ აცხადებს, რომ მისი რეალიზება 21-ე საუკუნეში, ანდა, სულაც, კაცობრიობის არსებობის პერიოდში მოხდება.

– გეოლოგიური შკალით, იელოუსტოუნის ამოფრქვევა შესაძლოა მალე მოხდეს, მაგრამ საყოფაცხოვრებო, ჩვენთვის ჩვეული დროის ვადებით, ეს ძალიან დიდი ხნის შემდეგ, რამდენიმე ათასწლეული, შესაძლოა, სულაც, ასიათასობით წლის შემდეგ მოხდეს, – აცხადებს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის ფიზიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე **ალექსი სობისევიჩი**. – იელოუსტოუნის კალდერის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მიწისძვრები გამუდმებით ხდება, მაგრამ ეს იმ რაიონისთვის ჩვეული სუსტი ბიძგებია. მართალია, **ძლიერ მიწისძვრას შეუძლია ვულკანის ამოფრქვევის პროვოცირება, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების გეოლოგიური სამსახური ასეთი სეისმური მოვლენის წინასწარ ნიშნებს არ აღნუსხავს**.

თანაც, ნურც ის დაგვავიწყდება, რომ თანამედროვე ადამიანები იმ წინაპართა შთამომავლები ვართ, ვინც წარსულში იელოუსტოუნის სამი სუპერამოფრქვევა გამოიარა. ამასთან, არც ისაა გამორიცხული, რომ იელოუსტოუნის ვულკანმა შესაძლოა, თავადაც გაიღვიძოს.

ცნობილია ტერორისტების მიერ ატომური ბომბის გამოყენების ექვსი ვარიანტი, რომელთა შორის **ყველაზე სახიფათო სწორედ იელოუსტოუნის სუპერვულკანზე მიტანილი იერიშია**. გარდა ამისა, ვულკანი შეიძლება ააფეთქონ მაგმური საკნის სახურავის რამდენიმე მძლავრი საბრძოლო რაკეტით მოსპობის შედეგად. ამდენად, ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურებსა და საჰაერო თავდაცვის ძალებს მშვიდად ძილის შესაძლებლობა ძალიან ნაკლებად აქვთ.

**მოამზადა**
**ოთარ ტურაბელიძემ**

## ესეც ესე...



**პირველი ცნობა, რომელსაც 25 წლის რუსი ბანოვანი ნატაშა კროუნი საკუთარი პერსონის შესახებ ინტერნეტის მომხმარებლებს აწვდის, სხეულის პარამეტრებია: მკერდის გარშემოწერილობა 132 სანტიმეტრი, წელის – 94 სანტიმეტრი, თეძოების – 173 სანტიმეტრი(!)**

**– ისიც გაითვალისწინეთ, რომ მე ჯერ კიდევ ვიზრდები! – აცხადებს ქალიშვილი.**

**დუნდულების გადიდების პირველი პლასტიკური ოპერაცია მან 20 წლის ასაკში გაიკეთა და უკვე ხუთი წელია, დღენიადაგ მათი მოცულობის გაზრდაზე ზრუნავს. მისი საბოლოო მიზანია, თეძოების გარშემოწერილობამ 2 მეტრს მიაღწიოს! ამისათვის კი ყოველდღე კალორიულ საკვებს მიირთმევს, თან პერიოდულად პლასტიკურ ქირურგსაც სტუმრობს.**

**– ყოველ დილას იმით ვიწყებ, რომ ჩემს მშვენიერ გავას სარკეში ვათვალიერებ, – კეკლუცობს ნატაშა.**

## ყველაფერი ოდენობაზეა დამოკიდებული

**რაციონიდან სუფრის მარილის სრულად ამოღება ჯანმრთელობისთვის ისეთივე მავნე ყოფილა, როგორც მისი ჭარბად მოხმარება.**

**ამერიკელმა ექიმებმა გაარკვიეს, რომ დიდი ხნით მარილის მიღებაზე უარის თქმა გასუქებისა და დიაბეტის წარმოშობის რისკს ზრდის.**

**ორგანიზმში მარილის დეფიციტს ქალებში ლიბიდოსა და ფერტილობის დაქვეითება მოჰყვება.**

**სუფრის მარილის მოხმარების დღე-ღამური ნორმა 5 გრამია, რაშიც მისიის ოდენობაც შედის, რომელსაც თავდაპირველად სურსათი შეიცავს.**



## თავს ნუ მოიშიებთ!

**მნიშვნელოვანი საუბრების წარმართვა არაფრით არ შეიძლება უზმოზე. როცა ადამიანი მშიერია, სისხლში შაქრის შემცველობა იკლებს, რაც, თურმე, ბრაზიანობასა და გამღიზიანებლობას ზრდის, – გვარწმუნებენ სპეციალისტები. იქნებ ამიტომაცაა, რომ ქალბატონებს ხშირად ხუმრობით, თუმცა კი გვარიანი მინიშნებითაც უყვართ თქმა: „მამაკაცის გულისკენ გზა კუჭზე გადისო“. სისხლში შაქრის დაბალი შემცველობის (ჰიპოგლიკემიის) ირიბი ნიშნებია გაფითრება, ხელის კანკალი, ხელისგულების ოფლიანობა, თუკი ყველა ეს ნიშანი სახეზეა, მაშინ აუცილებელია საკვების მიღება.**

## „ცუდი“ ქოლესტერინის „მტრები“

**კანადელმა სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ლებნიანი ბოსტნეულის რეგულარული მოხმარება გულსაც იცავს და წონის დაკლებასაც უწყობს ხელს.**

**ლობიოს, მუხუდოსა და ფეტვის ჭამა სისხლში „ცუდი“ ქოლესტერინის დონეს (შესაბამისად, მისით გამოწვეული გულისა და სისხლძარღვების დაავადებების რისკსაც) პროცენტულად ამცირებს. გარდა ამისა, ნორმაში დგება წონა, არტერიული წნევა და სისხლში გლუკოზის შემცველობა.**



**ლაქეობის მინიჭების შესახებ გამოაცხადეს.**

**თავის განცხადებადში სოფიამ აღნიშნა, რომ სურს, ადამიანებს დაეხმაროს. „მინდა გამოვიყენო ჩემი ხელოვნური ინტელექტი, რათა დავეხმარო ადამიანებს, შეცვალონ თავიანთი ცხოვრება, მაგალითად შექმნან ინტელექტუალური სახლების დიზაინი, ააშენონ მომავლის უკეთესი ქალაქები. ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ მსოფლიო უკეთესი გახდეს“, – თქვა სოფიამ. სოფია ჰონკონგურმა კომპანია Hanson Robotics-მა შექმნა.**

## პუტინმა 4 ბალისტიკური რაკეტა გამოსცადა

**რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი სტრატეგიული ბირთვული ძალების ვარჯიშს დაესწრო. ამის შესახებ კრემლის პრეს-მდივანმა დიმიტრი პესკოვმა განაცხადა. მისივე თქმით, პუტინმა 4 ბალისტიკური რაკეტის გაშვებაში მიიღო მონაწილეობა. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სწავლებამ წარმატებით ჩაიარა.**

## გაერო სირიის ხელისუფლებას ქიმიური იარაღის გამოყენებაში ადანაშაულებს

**2017 წლის 4 აპრილს ჰან შეიხუნში განხორციელებულ ქიმიურ თავდასხმაზე პასუხისმგებელი სირიის მთავრობაა. შესაბამისი დასკვნა გაერომ წარმოადგინა. ექსპერტების განცხადებით, თავდასხმისას გამოყენებული იყო მომწამვლელი გაზი ზარინი, რომელიც ნერვულ სისტემაზე ფატალურად მოქმედებს. ქიმიური თავდასხმის შედეგად დაიღუპა 80 ადამიანი.**

## ყაზახეთი 2025 წლისთვის ლათინურ ალფავიტზე გადავა

**ყაზახეთი ლათინურ ანბანზე გადავა. შესაბამის განკარგულებას ხელი ქვეყნის პრეზიდენტმა მოაწერა. ნულსულთან ნაზარბაევის განკარგულებით, მთავრობაში სპეციალური კომისია შეიქმნება, რომელიც 2025 წლისთვის ლათინურ ალფავიტზე გადასვლას უზრუნველყოფს. დღემდე ყაზახეთში ოფიციალურ ალფავიტად რუსულ კირილიცას იყენებდნენ.**

## შარლ აზნავური ისრაელმა დააჯილდოვა



**შარლ აზნავური ისრაელში რაულ ვალენბერგის მედალით დააჯილდოვეს. დაჯილდოვების საზეიმო ცერემონია იერუსალიმში პრეზიდენტის რეზიდენციაში გაიმართა. პრესტიჟული ჯილდო საფრანგეთში მოღვაწე შანსონიეს ჰოლოკოსტის დროს ებრაელების დახმარებისთვის გადაეცა. მეორე მსოფლიო ომის დროს შარლ აზნავური და მისი და აიდა რამდენიმე ებრაელს საკუთარ სახლში იფარებდნენ.**

საფეხბურთო მოზაიკა

## გურამ კაშია:
# „ვაფასებ თქვენს თანადგომას“



**საქართველოს ნაკრებისა და არნემის „ვიტესის“ მცველი გურამ კაშია სოციალურ ქსელში მის მხარდამჭერ აქციას გამოეხმაურა და ყველა იმ ადამიანს, რომელმაც ბოლო დღეებში მას მხარდაჭერა გამოუცხადა, მადლობა გადაუხადა.**

„ძალიან დიდი მადლობა ყველას, მიყვარხართ და ვაფასებ თქვენს თანადგომას! მე მაქსიმუმს გავაკეთებ იმისთვის, რომ ჩემი წარმატებით გაგახაროთ. ახლა მხოლოდ მოახლოებულ საკლუბო და სანაკრებო მატჩებზე ვფიქრობ“, — დაწერა სოციალურ ქსელში გურამმა.

შეგახსენებთ, რომ 15 ოქტომბერს კაშია ერედივიზიონის აქციაში ჩაერთო და მოედანზე, როგორც დანარჩენი ჰოლანდიური გუნდების სხვა კაპიტნები, LGBT თემის მხარდამჭერი კაპიტნის სამკლავურით გავიდა, ამას კი საქართველოში დიდი რეზონანსი მოჰყვა.



* * *

**„პარი სენ ჟერმენის“ თავდამსხმელი ნეიმარი დამატებით დისკვალიფიკაციას არ მიიღებს. აღნიშნულ ინფორმაციას L'Equipe ავრცელებს.**

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ განიხილა ბრაზილიელის საქმე და დამატებითი სასჯელის დაწესება საჭიროდ არ ჩათვალა. ბომბარდირი მხოლოდ „ნიცას“ წინააღმდეგ მატჩს გამოტოვებს.

შეგახსენებთ, რომ სამხრეთამერიკელი „მარსელთან“ მატჩის 85-ე და 87-ე წუთებზე მიღებული ყვითელი ბარათების გამო გააძევეს, მოედნის დატოვებისას კი მეტოქე გუნდის გულშემატკივრებმა მას სხვადასხვა ნივთები და წვენით სავსე ბოთლები ესროლეს.

* * *

**„მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველი პოლ პოგბა, დიდი ალბათობით, მოედანს „ჩელსისთან“ მატჩში დაუბრუნდება. 24 წლის ფრანგი ფეხბურთელი ჩემპიონთა ლიგის პირველ ტურში „ბაზელთან“ შეხვედრაში დაშავდა.**



მიუხედავად იმისა, რომ „წითელი ეშმაკების“ მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ პოგბას გამოჯანმრთელების ზუსტი ვადა ჯერაც ვერ დაასახელა, L'Equipe-ს იტყობინება, რომ პოლი მოედანზე 5 ნოემბერს გამოჩნდება.

მიმდინარე სეზონში პოგბამ „მანჩესტერის“ შემადგენლობაში 4 მატჩი ჩაატარა და მის ანგარიშზე 2 გოლი და 2 საგოლე გადაცემაა.



* * *

**„ტოტენჰემის“ თავდამსხმელი ჰარი კეინი პრემიერლიგის მე-10 ტურის მატჩს „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ გამოტოვებს. აღნიშნული ინფორმაცია „დეზების“ მთავარმა მწვრთნელმა მაურისიო პოჩეტინომ დაადასტურა.**

„ითამაშებს თუ არა კეინი „მანჩესტერთან“? ჩვენ უნდა შევაფასოთ ყველა მოთამაშის მდგომარეობა, თუმცა, ბევრი მიზეზის გამო კეინი დაისვენებს“, — ციტირებს არგენტინელი სპეციალისტის სიტყვებს Goal.com.

„ტოტენჰემისა“ და „მანჩესტერის“ დაპირისპირება დღეს თბილისის დროით 15:30 საათზე დაიწყება.

**გიორგი შოთაძე**

რაგბი

# ედი ჯონსის რჩეულნი



**ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ედი ჯონსმა ნოემბრის ტესტებისთვის 34 მოთამაშე გამოიძახა.**

„წითელი ვარდების“ რიგებში ორი დებიუტანტია: 18 წლის მგეზავი მარკუს სმიტი და 20 წლის რვა ნომერი ზეჩ მერსერი. დანაკლისზე კი საუბარი ქვემოთ გვექნება.

ედი ჯონსმა არჩევანი შემდეგ მორაგბეებზე შეაჩერა:

**უკანა ხაზი:** მაიკ ბრაუნი („ჰარლექუინსი“), ელიოტ დეილი („უოსპსი“), ჯონი მეი („ლესტერ ტაიგერსი“), დენი სოლომონა („სეილ შარქსი“), ენტონი უოტსონი („ბათი“), დენი კეარი („ჰარლექუინსი“), ოუენ ფარელი („სარასენსი“), ჯორჯ ფორდი („ლესტერ ტაიგერსი“), პიერს ფრანცისი („ნორთჰემპტონი“), ჯონათან ჯოზეფი („ბათი“), ალექს ლოზოვსკი („სარასენსი“), ჰენრი სლეიდი („ექსეტერ ჩიფსი“), მარკუს სმიტი (“ჰარლექუინსი“), ბენ იანგსი (“ლესტერ ტაიგერსი“);

**შერკინება**: ტომ კარი („სეილ შარქსი“), ჩარლი ეველსი „ბათი“), ნათან ჰიუზი („ოსპსი“), ნიკ ისეკი („სარასენსი“), მარო იტოჯე („სარასენსი“), ჯორჯ კრუისი (“სარასენსი“), ჯო ლანჩბერი („უოსპსი“), კურნი ლოუსი („ნორთჰემპტონი„), ზეჩ მერსერი („ბათი“), კრის რობშოუ („ჰარლექუინსი“), სემ სიმონდსი („ექსეტერ ჩიფსი“), სემ ანდერჰილი („ბათი“), დენ კოული („ლესტერ ტაიგერსი“), ტომ დანი (“ბათი“), ელის გენჯი („ლესტერ ტაიგერსი“), ჯეიმი ჯორჯი („სარასენსი“), დილან ჰარტლი („ნორთჰემპტონი“), მეტ მალანი („უოსპსი“), მაკო ვუნიპოლა („სარასენსი“), ჰარი უილიამსი (“ექსეტერ ჩიფსი“);

**დისკვალიფიცირებული და ტრავმირებული მოთამაშეები:** ჯეკ კლიფორდი („ჰარლექუინსი“), ლუკ კოუენ-დიკი („ექსეტერ ჩიფსი“), ჯო მარლერი („ჰარლექუინსი“), ჯეკ ნოუელი („ექსეტერ ჩიფსი“), კაილ სინკლერი („ჰარლექუინსი“), ბენ ტეძო („ვუსტერ უორიორსი“), მანუ ტუილაგი („ლესტერ ტაიგერსი“), ბილი ვუნიპოლა („სარასენსი“).

გეტყვით, რომ ინგლისის ნაკრები ნოემბერში „თვიქნემ სთედიუმზე“ სამ შეხვედრას ჩაატარებს — 11 ნოემბერს არგენტინას უმასპინძლებს, 18-ში ავსტრალიას მიიღებს, ხოლო 25-ში სამოას დაუხვდება.

**კობა კობახიძე**

კალათბურთი

# სავარაუდოდ, გიორგობისთვეში



**„სან ანტონიო სპურსის“ ლიდერი კავაი ლეონარდი პარკეტს შესაძლოა, ნოემბერში დაუბრუნდეს. აღნიშნულ ინფორმაციას გუნდის თავკაცი გრეგ პოპოვიჩი ავრცელებს.**

„ლეონარდი შეიძლება ნოემბრის დასაწყისში დაგვიბრუნდეს, მაგრამ ჯერ ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის“ — განაცხადა ტეხასელთა თავკაცმა.

კავაიმ მიმდინარე სეზონის დასაწყისი გამოტოვა, რადგან ფორვარდს ბარძაყის ტრავმა აწუხებს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ჩოგბურთი



# გაკვეთილი - ფრანგებს

**დიდი სლემის 19-გზის ჩემპიონმა როჯერ ფედერერმა ბაზელის ტურნირის 1/8-ფინალში ფრანგი ბენუა პერი იოლად 6:1, 6:3 დაამარცხა. მას პერის დასამარცხებლად სულ 59 წუთი დასჭირდა. შვეიცარიელმა 9 შესაძლებლობიდან 4 ბრეიკი გამოიმუშავა, ხოლო ბენუას ერთი ბრეიკ-პოინტიც კი არ ჰქონია.**

1/4-ფინალში როჯერი ფრანგ ადრიან მანარინოს შეხვდება. ურთიერთშეხვედრებში შვეიცარიელი მეტოქეს 4:0-ს უგებს ისე, რომ ფრანგს ერთი სეტიც კი არა აქვს მოგებული.

**მანუჩარ გიორგაძე**

ინტერნეტიდან

# ვინ შეაბამს ემილიას?

**მსოფლიოში სუპერპოპულარული სერიალის, „სამეფო კარის თამაშების“ ერთ-ერთი ვარსკვლავი, მსახიობი ემილია კლარკი სასურველ სარძლოდ ითვლება და მის „გადასანახულებლად“ მაჭანკალთა რიგებია ჩამომდგარი. მაგრამ ემილია ამ აპლუაში თავს მშვენივრად გრძნობს და მამაკაცთა სქესს ერთგვარი ირონიით უყურებს.**

ამერიკის ბულვარული მედიის მტკიცებით, ემილია კლარკის „შებმა“ თავის დროზე თურმე დიადმა მეგოლფემ — ტაიგერ ვუდსმაც კი სცადა, მაგრამ პასუხად მან მხოლოდ ცინიზმი და სრული გულგრილობა მიიღო, რაც „ყვითელი“ მოკალმეებისათვის განსაკუთრებულად დიდი საკბილო ამბავი იყო.

ჩვენი მტკიცება ნამდვილად არ სჭირდება იმ ამბავს, რომ ზოგადად, არსებობენ ქალები, რომლებიც პოპულარობის მიუხედავად, არაფრის დიდებით არ იცვლიან ცხოვრების წირსა და ზნეს. როგორც ჩანს, ქალბატონი ემილიაც ერთ-ერთი მათთაგანია და მექალთანეებს მოვუწოდებთ, რომ სადაც არა სჯობს, იქ გაცლაა უკეთესი.



**როსტომ რაჭველიშვილი**

# ედნარ მიქანაძე



ჩვენგან წავიდა ჭეშმარიტად პროფესიონალი, განათლებული აგრონომი, დღენიადაგ ახლის მაძიებელი, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ბატონმა ედნარმა განვლო ხანგრძლივი და ნაყოფიერი გზა სოფლის რიგითი აგრონომიდან სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამმართველოს უფროსამდე. მისი მოღვაწეობის სფერო მოიცავდა როგორც ერთწლოვან, ისე მრავალწლოვან კულტურებს, რომელთა წარმოების აგროტექნიკას წარმატებით ფლობდა. იგი ყოველთვის ახალი მეთოდების და მიდგომების დანერგვის მომხრე იყო, რომელთაგან ბევრი საზღვარგარეთიდან ჩამოჰქონდა.

ბოლო დროს ბატონი ედნარი მუშაობდა მარცვლეულის ლოჯისტიკის კომპანიაში სელექციონერ-ექსპერტად და გულწრფელად უხაროდა ყველა ახალი ჯიშის დარაიონება, რომელსაც უხვი მოსავლის მოცემა შეეძლო.

ძნელია წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ გვერდით აღარ არის ბატონი ედნარი, რომელიც ღრმა სიბერემდე სიცოცხლეს იმსახურებდა.

მშვიდობით ჩვენო მეგობარო, მსუბუქი იყოს ქართული მიწა შენთვის, მიწა, რომელზეც ასე იყავი შეყვარებული.

**ომარ კაჭარავა, თამაზ კუნჭულია, ნოდარ ხოხაშვილი, კოტე ხუცაიძე, ომარ თედორაძე, თემურ კალანდაძე, მარიკა გელაშვილი, გივი მერაბიშვილი**

---

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დარგის პროფესიონალი, მრავალმხრივ განათლებული და პრინციპული პიროვნება

## ედნარ მიქანაძე

და სამძიმარს უცხადებს ოჯახს, ნათესავებსა და მეგობრებს.

წავიდა ჩვენგან საუკეთესო აგრონომი, კოლორიტული ფიგურა და ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული კაცი.

# ანზორ მაისურაძის ნათელ ხსოვნას



40 დღე გავიდა, რაც ჩვენ გვერდით აღარ არის ჩვენი მასწავლებელი და უფროსი მეგობარი, ღირსეული მოქალაქე და მეოჯახე, ბატონი ანზორ მაისურაძე. მისი წასვლა ამა ქვეყნიდან ტკივილიანია, თუმცა სულის არსებობა გვაიმედებს, რომ მისი სითბო და გვერდით დგომა არც იმ ზეციური სამყაროდან მოგვაკლდება. მან ხომ სიკეთისა და სიყვარულის თესვას ასე რუდუნებით მიგვაჩნია.

ბატონმა ანზორმა თავისი ცხოვრება, როგორც პიროვნებამ, მეოჯახემ, შვილმა, მეუღლემ, მამამ, ძმამ, სახელმწიფო უსაფრთხოების უმაღლესი დონის სპეციალისტმა ღირსეულად განვლო. მან ცხოვრებაში ტკივილიც ბევრი ნახა, მათ შორის იმ ადამიანებისგან, ვისგანაც ის ამას ნამდვილად არ იმსახურებდა. სამწუხაროა, რომ მისი უზარმაზარი გამოცდილება მომავალი თაობის აღზრდის საქმეში არ იქნა ბოლომდე გამოყენებული.

კიდევ ერთხელ თანავუგრძნობთ ბატონი ანზორის ოჯახს და ვაიმედებთ, რომ მისი ხსოვნა ჩვენს გულებში მარადჟამს იარსებებს.

**გელა სულაძე, პაატა კაჭარავა**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
სულხან-საბას ქ. №3.
293-13-34; 599 797679

ეპიტაფია

# საუკუნემდე ცოტაღა დააკლდა... აბელ გეგიას ხსოვნას



კარგი ადამიანის სიკვდილი ორჯერ უფრო მძიმე და სამწუხაროა, სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის

## აბელ გეგია,

რომელიც თავისი დროის წინაშე ვალმოხდილი აღესრულა 91 წლისა. ის თითქმის 70 წელიწადი ემსახურა სიმართლის დაცვას, ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლას. ეს თავისი დიდი გამოცდილება კი რამდენიმე წიგნად დაგვიტოვა, რომელი წიგნებიც დეტექტივებივით იკითხება და უთუოდ კარგ დახმარებას გაუწევს ჩვენს ახალგაზრდობას, ვისაც სამართლისმცოდნეობა გადაუწყვეტია.

ამ დიდად დამსახურებულ ადამიანს სამშაბათს, 31 ოქტომბერს, დაკრძალავენ; გამოასვენებენ ვაკის სამების ეკლესიიდან, 14 საათზე; პანაშვიდები გაიმართება განსვენებულის ბინაზე 29, 30.X. 17 სთ. მის: ზ. ფალიაშვილის ქ. №81.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია სამძიმარს უცხადებს განსვენებული აბელ გეგიას მეუღლეს **ლია სიხარულიძეს** და ვაჟიშვილს, მამის სეხნიას **აბელ უმცროსს**.

---

ელგუჯა, ცირა ბეროზაშვილები ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ უახლოესი მეგობრისა და ღვაწლმოსილი მამულიშვილის

## აბელ გეგიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებთ გარდაცვლილის ოჯახს.

შვილები სიმონ, სანდრო ნოზაძეები ოჯახებით იუწყებიან დედის

## ლეილა მაისურაძე-ნოზაძის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 29, 30 X, 16 სთ. ქ. თბილისი, გაზაფხულის ქ. კორპ. 21 (მეტრო „დელისთან", საბაგირო გზის სადგურის მიმდებარედ). დაკრძალვა 31 X, 14 სთ. ხაშურის რ-ნის სოფელ ფლევში.

გამოსვენება ფლევის წმ. გიორგის სახ. ეკლესიიდან.

---

აფხაზეთის მთავრობა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ საქართველოს პარლამენტის წევრის სიმონ ნოზაძის დედის

## ლეილა ნოზაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ფოთოლა, თენგიზ კალანდაძეები ოჯახით იუწყებიან ახლობლის

## მამუკა ასათიანის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებსა და სხვა ჭირისუფალთ.

---

გია კალანდაძე იუწყება

## მამუკა ასათიანის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.

---

მარინა, ზურაბ ედიშერაშვილები ოჯახით იუწყებიან

## მამუკა ასათიანის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ჭირისუფალთ.

# რა გახდა ჯარისკაცის გარდაცვალების მიზეზი?

**წალენჯიხის რაიონის სოფელ მუჟავაში 19 წლის სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალების საქმეზე ჯარისკაცები დაიკითხნენ.**

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის მერაბ მალანიას განცხადებით, გამოძიება აუცილებლად გასცემს პასუხს ყველა შეკითხვაზე.

**„შინაგან საქმეთა სამინისტრო გაიღებს დაკრძალვის ხარჯებს, ჩვენ ყველანაირად დავუდგებით გვერდით ოჯახს. რაც შეეხება იმას, თუ რა მოხდა, ვერსიები შეიძლება ბევრი იყოს. გამოძიება მიმდინარეობს და ის გასცემს პასუხს ყველა კითხვაზე. ინციდენტის მონაწილე ყველა პირი დაკითხულია. არავინ არსად არ გაქცეულა",** — აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.



შეგახსენებთ, 26 ოქტომბერს, წალენჯიხის რაიონის სოფელ მუჟავაში, აფხაზეთის ე.წ. საზღვართან იარაღის გასროლის შედეგად 19 წლის ჯარისკაცი გარდაიცვალა. ამჟამინდელი ინფორმაციით, ის თანმხლები პირის ტყვიამ იმსხვერპლა. გარდაცვლილი ჯარისკაცი აბაშაში, საკუთარ სახლში გადაასვენეს.

---

# პოლიციელები ბრალს არ აღიარებენ

**დეპუტატ ირაკლი ხახუბიას შვილის ბექა ხახუბიას დაღუპვის საქმეში ბრალდებული პოლიციელები ბრალს არ აღიარებენ. სასამართლო პროცესი გორის რაიონულ სასამართლოში გუშინ გაიმართა.**



ადვოკატ ნოდარ ცინცაძის განცხადებით, ბრალდებული პოლიციელები — სადაღაშვილი და რუსიშვილი დავალებას ასრულებდნენ, რომელიც ათმეთაურ ხაბელაშვილისგან მიიღეს და მათ მიმართ ბრალდება სრულიად უსაფუძვლოა.

საპატრულო პოლიციის ყოფილ თანამშრომლებს — ნუკრი ხაბელაშვილს, გიორგი სადაღაშვილს და ზურაბ რუსიშვილს ბრალი სსსკ-ის 116- ე და 333-ე მუხლებით წარედგინათ, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს. მათ სასამართლოს გადაწყვეტილებით უფლებამოსილება მომხდარი ფაქტიდან რამდენიმე დღეში შეუჩერდათ.

გორთან ახლოს, ავტომაგისტრალზე მდებარე გვირაბთან, ბექა ხახუბია 17 მაისს დაიღუპა.

# ვულოცავთ!

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჟეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე და თამაზ გოგინაშვილი ულრმესი პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავენ დაბადების დღეს ამავე საზოგადოების წევრს, ცნობილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პარლამენტის ორი მოწვევის წევრს, სათბობ-ენერგეტიკის ყოფილ მინისტრს, ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობების სამეცნიერო ინსტიტუტის ყოფილ დირექტორს, საქართველოს სამეცნიერო-საინჟინრო ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენელს, საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის პრეზიდენტს, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ჭეშმარიტ მამულიშვილსა და დიდებულ პიროვნებას, ბატონ

**რევაზ არველაძეს.**

# ბუკინისტი იყიდის:



მე-18-მე-19 საუკუნეში გამოშვებულ წიგნებს — 1500 ლარად, საბჭოთა კავშირში გამოშვებულ ფაიფურის სტატუეტებს — 200 ლარად, ძვირად იყიდის 1945 წლამდე გამოშვებულ ჟურნალებს, მისალოც ბარათებს, გრავიურებს, ნახატებს, ხელნაწერებს, პლაკატებს, საბავშვო წიგნებს, მოვერცხლილ ან ვერცხლის ჭურჭელს.



591-75-35-38.

**მეტი პატივი — მშობლიურ ანბანს**

# „ავერსის" ქართულ წამალს ქართულს წამლად ვერ უპოვი!

ძვირფასო რედაქცია,

**ამ სტრიქონებს აღელვებული გწერთ, აღელვებული კი იმიტომ ვარ, რომ ამ ბოლო დროს აშკარაა ქართული ანბანის უგულებელყოფა. რუსულს ისე არ დაუჩაგრავს ჩვენი ანბანი, როგორც ინგლისური ავიწროებს. თითქმის ყველა აბრა, მაგალითად, თბილისში მხოლოდ ინგლისურია, თანაც ისეთი სახელწოდებებია, არაფერს რომ არ ეუბნება ქართველს, რომელსაც ინგლისურის ინჩიბინჩი არ გაეგება.**

ქალაქებში ინგლისურმა ნელ-ნელა ქართულ პროდუქციაზეც გადაინაცვლა. აგერ, ახლახან, „ავერსის" აფთიაქში ვიტამინებისა და მინერალების კომპლექსი, ეგრეთ წოდებული „ცენტროვიტი" შევიძინე.







ხომ გაგიგიათ, „პწკენა-პწკენაში პატარძალი დაორსულდაო" და „ზღვა კი კოვზით დაილიაო", თუ ასე გაგრძელდა აშკარად ანტიქართული დამოკიდებულება ქართული დამწერლობის მიმართ, უთუოდ იმ პატარძლისა და იმ ზღვის მსგავსად დაგვემართება...

ძალიან კარგია, რომ „ავერსს" თავისი ფარმაკოქიმიური ქარხანა აქვს და ქართულ პროდუქციას აწარმოებს, მაგრამ ძალიან ცუდია, რომ „ცენტროვიტის" ფლაკონს მხოლოდ უცხოური წარწერები აქვს. შეიძლება ავერსელებმა მითხრან, ინსტრუქცია ქართულადაც ხომ არისო, მაგრამ მე ფლაკონზე ვლაპარაკობ. რა დაშავდებოდა, თუ „ცენტროვიტის" ფლაკონზე ეს ერთი სიტყვა ქართულადაც დაეწერებოდა?

კი, ბატონო, გაიტანე შენი ქართული პროდუქცია საზღვარგარეთ, საერთაშორისო ბაზარზე, მაგრამ თუნდაც ერთი სიტყვა ქართულადაც გააყოლე, დაე, უცხოელმა მომხმარებელმა თვალი შეაჩვიოს მსოფლიოში ერთ-ერთ უძველეს ქართულ ანბანს.

**არჩილ ბუთხუზი,**
**ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი**

# გასაცინებელი ა(მ)ბები

## ლორდი

რჩეულთათვის განკუთვნილ ლონდონის კლუბში ორი ლორდი საუბრობს:

— გუშინ, თავადის ქალ პოლიმბუკთან მიღებაზე, — ჰყვება ერთი იმათგანი, — თავადის ქალის პაპამ შეცდომით ხელზე მაკოცა.

— მერე?

— მერე ის, რომ ტრაგედია მოხდა. თანდაყოლილმა ტაქტმა მაიძულა, მთელი ის საღამო ქალად წარმომეჩინა თავი.

## ელექტრონული ტვინი

ნიუ-იორკის ერთ-ერთ რკინიგზის სადგურში რობოტი დგას, რომელსაც ელექტრონული ტვინი აქვს. იქვე, გვერდით, გამოფენილ ინსტრუქციაში ნათქვამია, რომ თუ მონეტების ჩასაყრელ ხვრელში 5-ცენტიანს ჩავაგდებთ, შესაძლებელია ყველაფრის გაგება საკუთარ თავზე.

მავანი ცნობისმოყვარე მგზავრი ძალიან დაგულისყურდა რობოტით. მან ხვრელში ხუთცენტიანი ჩააგდო და ავტომატიდან მართლაც გადმოვარდა ქაღალდი, სადაც ეწერა:

„თქვენი გვარია დიურანი, სახელი ჟანი, ეროვნებით ფრანგი, გყავთ ცოლი და სამი შვილი. თქვენ ყოველთვის ჩვენი სადგურიდან მიემგზავრებით მატარებლით 5:30".

გაოცებულმა მგზავრმა შესძახა:

— ღმერთმანი, დაუჯერებელი ამბავია!

ზედდატანებაზედ რობოტს ვინმე ინდიელიც მიუახლოვდა და იმანაც 5 ცენტი ჩააგდო. ავტომატიდან გადმოვარდნილ ქაღალდზე ეწერა:

„თქვენ ოკლახომელი შავი ბიზონი ხართ, შვიდი შვილი გყავთ, თქვენ მიემგზავრებით მატარებლით, რომელიც 6:30-ზე გადის".

— მოდი, ერთი, — მიმართა მან ინდიელს, — გავიხუმროთ, შენს ტანსაცმელს ჩავიცვამ და კიდევ ჩავაგდებ 5 ცენტს. ვნახოთ, აბა, რას მიპასუხებს რობოტი.

თქმა და ქმნა ერთი იყო. ინდიელის ტანსაცმლიანმა მოსიე დიურანმა აპარატში 5 ცენტი ჩააგდო.

გადმოვარდნილ ქაღალდზე ეწერა:

„თქვენი გვარი კვლავინდებურად დიურანია და როგორც ადრე, ისევ სამი შვილი გყავთ, მაგრამ სანამ მემაიმუნებოდით, თქვენი მატარებელი წავიდა!"



## ვარსკვლავის წყენინება

პარიზული ვარიეტეს ვარსკვლავმა თურქეთში საგასტროლო მიწვევა მიიღო. სანამ ვიზას მისცემდნენ, ხელისუფლებამ ყვავილზე აცრა მოსთხოვა, რადგან თურქეთში ეპიდემია მძვინვარებდა.

— გეხვეწებით, — უთხრა მსახიობმა ექიმს, — ისეთ ადგილზე ამცერით, როცა სცენაზე გამოვალ, მაყურებელმა ანაცერი ვერ შემამჩნიოს.

— კი, ბატონო, — დაეთანხმა ექიმი, — ოღონდ ამისთვის საჭიროა წინასწარ გნახოთ სცენაზე.

იმ საღამოსვე ექიმი მივიდა ვარიეტეში.

— ქალბატონო, — უთხრა მსახიობს წარმოდგენის შემდეგ, — სამწუხაროდ, თქვენ უარი უნდა თქვათ თურქეთში გასტროლებზე.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე"

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში"
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851

**ავტორთა საყურადღებოდ!**

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა" შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.5496; ევრო - 3.0111;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3729;
100 რუბლი - 4.4193; თურქული ლირა - 0.6762;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5012;
1000 სომხური დრამი - 5.2896.

**ამინდი 28 ოქტომბრისთვის**

აღმოსავლეთი საქართველო:

| | | |
|---|---|---|
| ბარი - | ღამე +6, | დღე +20 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +2, | დღე +18 |

დასავლეთი საქართველო:

| | | |
|---|---|---|
| ბარი - | ღამე +7, | დღე +25 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +4, | დღე +20 |
| თბილისი: | ღამე +10, | დღე +18 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge